საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 131 (2047) | პარასკევი, 29 სექტემბერი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოფიციალური ფოსტა

ის აღმატებულებას,
აქართველოს რესპუბლიკის
არლამენტის თავმჯდომარეს –
ახელმწიფოს მეთაურს ბატონ
დუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

შემძრა ცნობამ თქვენზე მომხდარი თავდასხმის შესახებ. ამავე
რის შვება ვიგრძენი, როდესაც შევიტყვე, რომ მხოლოდ მსუ-
ქად დაშავებულხართ.

გერმანია ვალშია თქვენს წინაშე და თუნდაც მხოლოდ ამის გა-
ჩვენ მზად ვართ, თქვენი პირადი უსაფრთხოების მიზნით სა-
ელმწიფოს მეთაურად ყოფნის პერიოდისათვის თქვენს განკარ-
ლებაში გადმოგცეთ სპეციალური ავტომობილი, „მერსედეს-ბენ-
ს" ფირმის ჯავშნიანი ავტომანქანა, რომელიც რაც შეიძლება
ელე დროში ჩამოვა თბილისში ქ. შტუტგარტიდან.

ყოველივე კარგს გისურვებთ პირადად თქვენ.

მეგობრული სალმით,
თქვენი

კლაუს კინკელი,

გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი.

ბონი, 1995 წლის 21 სექტემბერი.

ოფიციალური ქრონიკა

პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ქეთევან ბატონიშვილი და იტალიის სენატის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იტალიის სენატის წარგზავნილი ევროპარლამენტში ანტონიო ბელონი.

ბატონმა ბელონიმ ილაპარაკა საქართველოს და იტალიას შორის ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე. მან სახელმწიფოს მეთაურს აცნობა, რომ მასთან ერთად ჩამოსულია ოცი იტალიელი ბიზნესმენი, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ ქართველ მეწარმეებთან, განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ანტონიო ბელონის ჩამობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ ეს უდავო მხარდაჭერაა საქართველოსი.

• • •

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საკითხთა განყოფილების თანადირექტორს ემილ სანდის.

ბატონი სანდი ერთი კვირაა საქართველოში იმყოფება მისიის სხვა წევრებთან ერთად, ისინი მუშაობენ რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოში ბოლო 2 წლის განმავლობაში სასიკეთო ნაბიჯებია გადადგმული საგადასახადო სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით, რამაც საშუალება მისცა რესპუბლიკის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაეზარდა შემოსავლები.

სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა საგადასახადო კოდექსის შექმნის აუცილებლობას, რომელზეც მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

28-29 ოქტომბერს თბილისობაა!

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საქართველოს დედაქალაქში თბილისობის ტრადიციის აღდგენის შესახებ

თბილისობამ, რომელიც სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში ნამდვილ ხალხურ ტრადიციად იქცა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

იგი ხელს უწყობდა საქართველოს დედაქალაქის სავაჭრო, კულტურული და საერთოდ ადამიანურ ურთიერთობათა განვითარებას ქვეყნის ყველა რეგიონთან, რაიონთან, ქალაქთან, დაბასთან, სოფელთან. თბილისობის ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო საქართველოს ბევრი რაიონი მოკლებულია დედაქალაქთან სამეურნეო თუ სულიერი ურთიერთობის ფართო მასშტაბით აღდგენა-განვითარების შესაძლებლობას. ახალ დამოუკიდებელ საქართველოში თბილისობა უნდა გადაიქცეს დიდ საერთო რესპუბლიკურ ვაჭრობად, რომელიც მომავალში, დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო მასშტაბის გახდება.

სახელმწიფოებრიობის, სტაბილურობის განმტკიცების პარალელურად, თბილისობა ჩვენი ქვეყნის, მისი ყველა რეგიონის ცხოვრების ამსახველ დათვალიერებად იქცევა, რაც კიდევ უფრო აამაღლებს თბილისის, როგორც ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქის, მისი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრის როლს. თბილისობა ხელს შეუწყობს ჩვენი მრავალეროვანი მოსახლეობის შემჭიდროებას სახელმწიფოს წინაშე მდგომი ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. მოვუწოდებ დედაქალაქის, საქართველოს რაიონებისა და ქალაქების მცხოვრებთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ თბილისობის ტრადიციის აღდგენა-აღორძინებაში.
2. მხარს ვუჭერ თბილისის მერიის (ნ. ლეკიშვილი) წინადადებას 28-29 ოქტომბერს თბილისობის გამართვის შესახებ.
3. დაევალოს თბილისის მერიას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს თბილისობის გამართვის პროგრამა, გამოჰყოს ტერიტორიები დიდი მოძრაობის მოსაწყობად ავტონომიების, რაიონებისა და ქალაქებისათვის.
4. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, რაიონებისა და ქალაქის ხელმძღვანელებს ხელი შეუწყონ თბილისობის მონაწილეობის საქმეში წარმოება-დაწესებულებებს, მეურნეობებს მეწარმეებს, ბიზნესმენებს, სოფლებისა და დაბების მოსახლეობას.
5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა (ო. ფაცაცია), შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა უზრუნველყონ დედაქალაქში შემხვედრი ვაჭრობის მოწყობა. რაიონებიდან, სოფლებიდან ჩამოსულ მოსახლეობას საშუალება უნდა მიეცეს დედაქალაქში შეიძინოს ის, რაც აუცილებელია მათი ოჯახებისათვის, განსაკუთრებით ზამთრის სეზონისათვის.
6. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, სავაჭრო პალატას მიიღონ ზომები თბილისის დიდ ბაზრობაში სხვადასხვა ქვეყნების ფირმების, გაერთიანებების, ცალკეულ ბიზნესმენთა აქტიური ჩაბმისათვის.
7. შეიქმნას თბილისობის მოწყობის ორგანიზაციისათვის სპეციალური კომისია (თავმჯდომარე — ნ. ლეკიშვილი), რომლის შემადგენლობაშიც შევლენ აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელები, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულები მხარეებში, სხვადასხვა პასუხისმგებელი პირები. ნ. ლეკიშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინოს კომისიის შემადგენლობა.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 27 სექტემბერი.

უკვდავება

იული შარტავას
სოვნა
ოცხლობს

27 სექტემბერს აფხაზეთის
აზოგადოებრიობამ საქართველოს
ცე-პრემიერის, აფხაზეთის ავტ-
ნომიური რესპუბლიკის უზენაე-
ს საბჭოს თავმჯდომარის თამაზ
დარეიშვილის, ავტონომიური
ესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
ავმჯდომარის ზურაბ ერქვანიას
თაურობით პატივი მიაგო საქარ-
ველოს სახელოვანი შვილის ჟიუ-
ი შარტავას ხსოვნას, რომელიც
ოხუმში დაიღუპა აფხაზ სეპარატ-
სტთა ხელით 1993 წლის 27 სექ-
ემბერს. მან ხანმოკლე, მაგრამ
ქეფარე სიცოცხლე შესწირა
რავალტანჯული საქართველოს
ესპუბლიკაში მცხოვრები ხალხ-
ის მეგობრობას. ჟიული შარტავ-
ს ხსოვნის პატივსაცემად მოსული
რავალი ადამიანი, მის საფლავზე
ტანილი უამრავი ყვავილი მოწ-
ობს, რომ განუხრელად გრძელდ-
ა მისი დიდი საქმე, რომელთა-
ნ უმთავრესი იყო საქართველოს
ერიტორიული მთლიანობის აღდ-
ენა.

მიმართვა

ვალუტის გადაცვლის ოპერაციები უნდა განხორციელდეს არა მავანთა და მავანთა გამდიდრებისათვის, არამედ მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის

ქართული ბანკის, საქართველოს ბანკისა და აგროსამრეწველო ბანკის მიმართვა საქართველოს საბანკო დაწესებულებებისადმი

ძვირფასო კოლეგებო!

აგერ უკვე მესამე დღეა, მიმოქცევაშია ჩვენი ეროვნული ვალუტა ლარი. მის გამოჩენას ერთნაირი სიხარულით ეგებება ყველა დიდი თუ პატარა, ჩინიანი თუ უჩინო, ერი და ბერი. სწორედ მოსახლეობის ასეთმა ერთსულოვნებამ განაპირობა ის, რომ კუპონის ლარზე გადაცვლა ორგანიზებულად მიმდინარეობს და რაიმე სერიოზული შეფერხება ამ პროცესში არ შეინიშნება. და მაინც, კუპონის ამოღება მიმოქცევიდან ფულადი რეფორმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარი — ლარის გადაქცევა სრულფასოვან საგადამხდელო საშუალებად ჯერ კიდევ წინაა.

ლარის დამკვიდრება მიმოქცევის არხებში შეუძლებელია მასზე უცხოური ვალუტის გადაცვლის უზრუნველყოფის გარეშე, დასანანია, რომ ზოგიერთი საბანკო დაწესებულება შეგნებულად არიდებს თავს უცხოური ვალუტის ლარზე გადაცვლის ოპერაციებს, ან კიდევ, სარგებლობს ლარის ფულის ნიშნების დროებითი სიმცირით და ხელოვნურად ადაბლებს უცხოური ვალუტის — პირველ რიგში რუსული მანეთის ეროვნულ ვალუტაზე შესყიდვის კურსს. ყოველივე ეს მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ვითვალისწინებთ რა შექმნილ მდგომარეობას, ჩვენ, საქართველოს უმსხვილესი სააქციო-კომერციული ბანკები, ვეხმაურებით ეროვნული ბანკის მოწოდებას და ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 27 სექტემბრიდან ეროვნულ ვალუტაზე ნაღდი უცხოური ვალუტის, მათ შორის რუსული მანეთის გადაცვლა განხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების ოფიციალურ კურსებზე არაუმეტეს 3 პროცენტის დამატებით.

ეროვნული ბანკი კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოახდინოს გაერთიანებული ქართული ბანკის, საქართველოს ბანკისა და აგროსამრეწველო ბანკის დაწესებულებების მიერ შესყიდული ნაღდი უცხოური ვალუტის ბანკნოტების გამოსყიდვა მოქმედი ოფიციალური კურსით და საჭიროების შემთხვევაში მათი მომარაგება როგორც ლარის, ისე უცხოური ვალუტის ფულის ნიშნებით აღნიშნული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ფარგლებში.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა კომერციულ ბანკს გვერდში ამოგვიდგნენ ამ გადამწყვეტ მომენტში და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რათა ვალუტის გადაცვლის ოპერაციები ჩვენს ქვეყანაში განხორციელდეს არა მავანთა და მავანთა გამდიდრებისათვის, არამედ პირველ რიგში მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის.

მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს მიმართონ საქართველოს ყველა კუთხეში განთავსებულ ჩვენს განყოფილებებს, რომლებიც ოპერატიულად მომემსახურებიან მათ.

საქართველოს ეროვნული ბანკის სახელით
ნ. ჯავახიშვილი;
საქართველოს ბანკის სახელით
ვ. ბატეიშვილი;
გაერთიანებული ქართული ბანკის სახელით
თ. მაღლაკელიძე.

ჟამი დიდი არჩევნისა

5 ნოემბრამდე 37 დღეა

ჟამი დიდი არჩევნისა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
X
# დადგენილება
საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ზღვრული ოდენობის შესახებ

დადგინდეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ზღვრული ოდენობა საქართველოს პარლამენტის არჩევნების მონაწილე პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან სახსრების ხარჯვის ზღვრული ოდენობის — 2000 ლარის ნამრავლი საარჩევნო ოლქების რაოდენობაზე — 75-ზე, ე. ი. 150 ათასი ლარი.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
დადგენილება
საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდში შემოწირულობებთან დაკავშირებით

დადგინდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდში ერთი პირის (იურიდიული, ფიზიკური) შემოწირულობის ზღვრული ოდენობა 2000 ლარი.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე

თბილისი, 1995 წლის 28 სექტემბერი.

დამტკიცდნენ პრეზიდენტობის კანდიდატებად

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატებად დაამტკიცა: **როინ ლიპარტელიანი** (საქართველოს აგრარული პარტია), **აკაკი ბაქრაძე** (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება), **ჯუმბერ პატიაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი), **პანტელეიმონ გიორგაძე** (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია), **ედუარდ შევარდნაძე** (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, საქართველოს სოციალისტური პარტია), **ქართლოს ღარიბაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
X
# დადგენილება
საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

1. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები საარჩევნო ფონდების სახსრების გამოყენებასა და საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას ეწევიან საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის, აღნიშნული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად.
2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატები ქმნიან საარჩევნო ფონდებს. საარჩევნო ფონდები იქმნება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების, თავიანთი სახსრების, მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული არასახაზინო საწარმოების, საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივ გაერთიანებათა და საქართველოს მოქალაქეთა შემოწირულობების ხარჯზე.
3. პრეზიდენტობის კანდიდატები არჩევნებისათვის ხარჯებს იღებენ მხოლოდ საარჩევნო ფონდის საშუალებით. მათი საარჩევნო ღონისძიებების სხვა სახსრებიდან დაფინანსება, გარდა საარჩევნო ფონდისა, დაუშვებელია. საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილს.
4. საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგეობა ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს პრეზიდენტობის კანდიდატი.
5. საარჩევნო ფონდი იქმნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ.
6. საარჩევნო ფონდი შესაბამის რეესტრში შეტანის ცნობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართვის საფუძველზე ხსნის ანგარიშს საქართველოში რეგისტრირებულ ბანკში, რის შესახებაც 3 დღის ვადაში აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ანგარიში იხსნება მხოლოდ ეროვნული ვალუტით.
7. საარჩევნო ფონდს შეუძლია გახსნას მხოლოდ ერთი საბანკო ანგარიში.
8. პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ მოზიდული მთელი ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს საარჩევნო ფონდის ანგარიშზე.
9. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენებისათვის.
10. საარჩევნო ფონდის სახსრების ხარჯვა წარმოებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით. იურიდიულ პირებთან ნაღდი ანგარიშსწორებით ოპერაციების განხორციელებისას, თანხის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ეროვნული ვალუტით, ერთ ოპერაციაზე.
11. საარჩევნო ფონდის შემოსავლად ჩაითვლება როგორც მის ანგარიშზე გატარებული ფულადი სახსრები, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა საქონელი (სამუშაოები, მომსახურება).
12. უსასყიდლოდ მიღებული საქონლის (სამუშაოები, მომსახურება), ფინანსური ასახვა ხდება იმ დროისათვის საქართველოში არსებული სახელმწიფო-რეგულირებადი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში — საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.
13. საარჩევნო ფონდის ბუღალტერი ყველა სახის ოპერაციას აფორმებს დოკუმენტურად. იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის ხარჯი ვერ ფორმდება საბუღალტრო დოკუმენტის სახით, იგი უნდა გაფორმდეს ორმხრივი აქტით;
14. პრეზიდენტის არჩევნებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, წყდება ყოველგვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან. პრეზიდენტობის კანდიდატმა საარჩევნო ფონდის ნაშთი უნდა ჩარიცხოს ბიუჯეტში.
15. არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, პრეზიდენტობის კანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ მათ მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს დადგენილი ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს საქართველოს კონტროლის პალატის შემოწმების დასკვნა.
16. საარჩევნო ფონდის მოქმედება წყდება ანგარიშის წარდგენის შემდეგ.
17. პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდის შექმნამდე ხარჯების გაწევა ჩაითვლება ამ ინსტრუქციის დარღვევად.
18. ამ ინსტრუქციით დადგენილი წესების დარღვევა ჩაითვლება საარჩევნო ფონდიდან დასახარჯი თანხის დადგენილი ზღვრული ოდენობის გადაჭარბების ტოლფასად.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

თბილისი, 1995 წლის 28 სექტემბერი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

იმ არასაპარლამენტო პარტიების რეგისტრაციის საკითხს, რომლებმაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 26 სექტემბრის 18 საათამდე შემოიტანეს საჭირო რაოდენობის მხარდამჭერთა სიები, ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს 29 სექტემბრის სხდომაზე. სხდომა გაიმართება 13 საათზე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

საინფორმაციო განყოფილების განცხადება

გაცნობებთ, რომ 1995 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაცია.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ შესაბამისი განცხადებები წარმოადგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 29 სექტემბერს 11 საათიდან მისამართზე: თბილისი, დადიანის ქ. 5, (საინფორმაციო განყოფილება).

გაიმართა უზენაესი სასამართლოს პლენუმი

გუშინ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **მინდია უგრეხელიძე.**

პლენუმზე განიხილეს დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული დავების შესახებ". მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული დავების ჯეროვანი განხილვა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება. არჩევნებში მოქალაქეთა ნების სრულფასოვნად და თავისუფლად გამოხატვის, ხელისუფლების ორგანოებში ხალხის ღირსეულ წარმომადგენელთა წარგზავნის, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ ცალკეული კანდიდატებისათვის სათანადო იურიდიული გარანტიების უზრუნველყოფით, — ითქვა პლენუმზე, — მყარი სამართლებრივი პირობა შეიქმნება პრეზიდენტის ინსტიტუტის ქმედითობისა და პარლამენტის წარმატებითი საქმიანობისათვის. შემუშავებულია შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებანი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა უზენაესი სასამართლოს წევრი **გივი ბახტაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **თედო ნინიძე** და გენერალური პროკურორის მოადგილე **ანზორ ბალუაშვილი**, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატების, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ადვოკატურის წარმომადგენლობა.

დადგენილების ტექსტი გამოქვეყნდება პრესაში.

თათბირი

წლევანდელ ზამთარს მომზადებული რომ შევხვდეთ

27 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ზამთრის სეზონისათვის მზადების მიმდინარეობა.

თათბირს ესწრებოდნენ ფინანსთა და კავშირგაბმულობის სამინისტროების, საქენერგოსა და საქგაზის დეპარტამენტების, თბილისის მერიის, მუნიციპალური საწარმო „თელასის", სახელმწიფოს მეთაურის აპარატის წარმომადგენლები.

შეეხო რა რესპუბლიკის ენერგოსისტემაში შექმნილ ვითარებას, დეპარტამენტ საქენერგოს თავმჯდომარემ დავით ზუბიტაშვილმა აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის დეფიციტი რესპუბლიკაში 40-45 პროცენტს აღწევს, განსაკუთრებით რთული ვითარებაა თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, მაგრამ არსებობს საკმაო რეზერვები, რომელთა ამოქმედება გარკვეულ შეღავათს მისცემს რესპუბლიკას, ამისათვის ორი გზა არსებობს, პირველი, ენერგიის შესყიდვა აზერბაიჯანისაგან, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და მეორე, თბოელექტროსადგურის ამუშავება. ამჟამად გარდაბნის თბოელექტროსადგურში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. მე-3, მე-5 და მე-8 ბლოკების ამოქმედება ოქტომბერშია დაგეგმილი. მე-9 ბლოკის აღდგენაზე გერმანელი სპეციალისტები მუშაობენ და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა 1 დეკემბრისათვის არის გათვალისწინებული, ხოლო თუ მე-6 ბლოკიც ჩადგა მწყობრში, მაშინ თბილისს დამატებით 80-90 მეგავატი ელექტროენერგია ექნება. თბოელექტროსადგურის ასამუშავებლად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს 171 ათასი ტონა მაზუთი გამოუყო, ჰუმანური ტვირთის პირველი პარტია უკვე შემოვიდა, საქენერგოსა და საქგაზის ხელმძღვანელობა ეძებს გზებს, რათა მოხერხდეს თბოელექტროსადგურებისათვის გაზის შესყიდვაც.

ვინაიდან საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ელექტროენერგიის საფასურის გადახდას, საქენერგოს ხელმძღვანელობა ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადავიდა და ახლა გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ენერგიის ღირებულებას ზოგიერთი საწარმო გამოშვებული პროდუქციით იხდის. როგორც გაირკვა, ასეთი პრაქტიკა არსებობს არა მარტო ჩვენს მეზობელ რუსეთში, არამედ ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც, როგორიც საფრანგეთია.

თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა ძირითადად დედაქალაქის პრობლემებზე ილაპარაკა. ითქვა, რომ იმ 30 ქვესადგურში, რომელიც ახლა მუნიციპალიტეტის მფლობელობაში გადავიდა, განხორციელდა აღდგენითი სამუშაოები, დაიდგა სარეზერვო ტრანსფორმატორები, გამოიცვალა კაბელები. სულ 267 ტრანსფორმატორია გამოცვლილი, უზრუნველყოფილია ქვესადგურთა დაცვაც.

განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები სკოლებშიც, ყველა სკოლაში გათბობა უზრუნველყოფილი იქნება, გათბება თეატრებიც, დედაქალაქში შემოიტანენ ნავთს, ნახშირს, შეშას, საქგაზის დეპარტამენტმა რესპუბლიკაში 11 225 ათასი ტონა თხევადი გაზი შემოიტანა.

აღინიშნა ის დიდი დახმარება, რასაც მსოფლიო ბანკი, ევრობანკი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ საქართველოს. მათი თანადგომით შემუშავდა მთელი რიგი დოკუმენტები, განისაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში.

კავშირგაბმულობის მინისტრის ფრიდონ ინჯიას თვალსაზრისით, წლეულს სისტემაში გაცილებით უკეთესი ვითარება იქნება, შარშანდელთან შედარებით. მიღებულია ზომები ყველა რაიონთან კავშირის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა წინასაარჩევნო პერიოდში.

თათბირი შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. „კრიზისი, რომელიც შეიქმნა თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოში, უნდა დავძლიოთ", თქვა მან, მით უმეტეს, რომ ამისათვის ყველა წანამძღვარი არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მტკიცედ დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკას, მაგრამ მხოლოდ ჰუმანური დახმარების ხარჯზე ყოფნა არ შეიძლება. საჭიროა მეტი ინიციატივა.

შესაბამის სამსახურებს მიეცათ მითითება უფრო მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ პრობლემების გადაჭრისას, უზრუნველყონ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

საქართველოს რეფორმატორთა კავშირი აქტიურად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. 11 სექტემბერს გამართულ სხდომაზე რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ბატონი ედუარდ შევარდნაძე წამოაყენა და ამით მხარი დაუჭირა კანდიდატის პოლიტიკურ კურსს. მანამდე რამდენიმე დღით ადრე კი ჟურნალისტებისათვის გამართა პრესკონფერენცია, რომლის თემა გახლდათ „ძალადობა, კონსტიტუცია, არჩევნები". აქ სრულად წარმოჩინდა, თუ რა უბედურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოსთვის 29 აგვისტოს მომხდარ ტერაქტს.

24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. მოხდა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, პირველად, პოსტკომუნისტურ სივრცეში საქართველო შეუდგება სახელმწიფო მშენებლობას მსოფლიოში ნაცადი დემოკრატიული სისტემის მიხედვით, რომელიც კონსტიტუციაშია ჩამოყალიბებული. სისტემით, რომელიც ქვეყნის დამშვიდების, მოწესრიგებისა და განვითარების გარანტია უნდა იქნეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია (და ამის შესახებ კიდეც ბრძანა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა თავის გამოსვლაში) რეფორმატორთა კავშირის წვლილი ამ საქმეში. ჩიხში შესული პროცესი ერთბაშად ფართო გზაზე გაიყვანა, ხოლო პარლამენტი შეკრა და გააერთიანა რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარის ბაკურ გულუას მიერ წარდგენილმა კონსტიტუციის ახალმა ე. წ. ამერიკულმა მოდელმა, რომელიც საფუძვლად დაედო მიღებულ კონსტიტუციას.

დღეს ბატონი ბაკური ჩვენი გაზეთის სტუმარია.

ნომრის სტუმარი

მოავარია მთელი სისტემის რეფორმაცია

— უპირველეს ყოვლისა, რეფორმატორთა კავშირს, პირადად თქვენ, გილოცავთ კონსტიტუციის მიღებას, დიდია თქვენი წვლილი კონსტიტუციური კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის საქმეში, ალბათ, ახლავე დიდია სიხარულიც, იმის გამო, რომ კონსტიტუციის თქვენს მიერ წარდგენილი მოდელი დაედო საფუძვლად.

— რა თქმა უნდა, მაგრამ პირველ რიგში ეს უნდა მივულოცოთ სრულიად საქართველოს, სასიამოვნოა თქვენგან იმის მოსმენა, რომ რეფორმატორებმა მართლაც საჭირო წვლილი შევიტანეთ ამ საქვეყნო საქმეში. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი რეფორმატორული გადაწყვეტილება მიიღო. ეს ნიშნავს ახალი სახელისუფლებო ფილოსოფიის დამკვიდრების დაწყებას, მანევრებიდან მტკიცე პოზიციაზე, ხელისუფლებისადმი დაპირისპირებიდან ურთიერთთანამშრომლობაზე გადასვლას.

საქართველო დიდი მოვლენის მოწმე გახდა. ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სისტემაში მოხდა ერთდროული, მაგრამ უდიდესი ევოლუციური ცვლილება, ცხოვრების წესის, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა და, რაც მთავარია, ეს მოხდა უსისხლოდ. თუ ატყობთ, ხალხშიც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური შემობრუნებაც აღინიშნება. იქნებ, ბოლომდე გაუცნობიერებლად, მაგრამ ყველა ამჩნევს, რომ რაღაც მნიშვნელოვანის მოწმე და მონაწილეა.

— ხომ ვერ გაგვიმარტავდით, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ე. წ. ამერიკული ვარიანტი?

— საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ მიღებულია კონსტიტუციის ე. წ. ამერიკული ვარიანტი. თუმცა, ნაკლებად ითქმება იმის თაობაზე, საერთოდ არსებობს თუ არა ბუნებაში სახელმწიფო მოწყობის განუმეორებელი, ჯერ არნახული ვარიანტი. ჯერ კიდევ როდის გვასწავლიდნენ ჩვენი სახელოვანი სამოციანელები, რომ უნიკალური სისტემის ძიება შეცდომაა, რომ აუცილებელია მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა გამოცდილების შესწავლა, რომ სწორედ ამისთვისაა საჭირო განათლება, რათა შეეძლოს, მათ შორის, ყველაზე საუკეთესოს, შენი ხალხის ბუნებასა და ცხოვრების წესისათვის ყველაზე უფრო ახლოს მდგომი სისტემის ამორჩევა, გამარჯვება და გონივრული გამოყენება.

რეფორმატორთა კავშირს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ამ მხრივ საქართველოში აღმოჩენები ვერ გაკეთდება. უნდა ავიღოთ მსოფლიოში კარგად აპრობირებული სისტემა და მოვარგოთ იგი ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს, ან პირიქით, გავაანალიზოთ რა გვჭირდება ამ რთულ და ძნელ დროში და ვეძებოთ, თუ ვის აქვს ამაზე ყველაზე სწორი პასუხი გაცემული. როგორც ხედავთ, ჩვენი ვარაუდი გამართლდა. აღმოჩენების გზით მართლაც ვერ ვიარეთ. წარმოდგენილი ვარიანტები მიუღებელი აღმოჩნდა. და არა პარლამენტისათვის, არამედ ხალხისთვის, გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყნისათვის. რადგან იგი გულისხმობდა არა ძლიერ, მკვიდრ, მდგრად ხელისუფლებას, რომელსაც ძალა შესწევს გაუძღვეს ქვეყანას, აიღოს პასუხისმგებლობა სიდუხჭირისაგან საქართველოს დახსნისათვის, მისი ბედისათვის, არამედ დროებით, გარდამავალ, ურთიერთდაპირისპირებულ და ურთიერთდამომრიცხავ ელემენტებს, პირობითი უფლებებითა და გაბნეული პასუხისმგებლობით.

ეს უკვე იყო, მისი გაგრძელება უბედურების გარდა არაფერს მოიტანდა. 208 წლის წინათ ამერიკაში ე. წ. დემოკრატიის მამათავრების მიერ მართლაც ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი (11 წლიწადი მოხმარდა მის შექმნას), აქ ძალიან ვრცელი განმარტებაა საჭირო.

— მაინც ხომ არ დააკონკრეტებდით?

— საინტერესოა ამ მხრივ აკად. ივერი ფრანგიშვილის მოსაზრება, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ გამართულ მსოფლიო ფორუმის მონაწილეა, სადაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია აირჩიონ მდგრადი განვითარების მოდელი, როცა შეუძლებელია პოლიტიკური სისტემის ხელყოფა. პარლამენტისა და პრეზიდენტის გარეკვა, სასამართლოს საქმეებში ადმინისტრაციის ჩარევა, საჭირო არაა ამბოხი და მეამბოხენი, ქვეყანა ბელადების ძეგლებით არ არის მოფენილი.

პოლიტიკური მშენებლობის ეს სისტემა მოიტანს ახალ სახელისუფლებო ზნეობას, ქცევას, [illegible] მექანიზმებს, ხელისუფლების შტოთა დაპირისპირების მაპროვოცირებელი ელემენტებიდან თანამშრომლობის მექანიზმებზე გადასვლას, ურთიერთნდობის დამკვიდრებას, ურთიერთკონტროლს და ურთიერთდაპირობებულობას, მტკიცე, ერთიანი ნებით მოქმედებას ქვეყნის შიგნით და გარეთ, ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის უწყვეტი დინამიკური ხასიათის მინიჭებას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას.

პარლამენტი უზენაესი კანონმდებელია — ქვეყანა კანონებით უნდა იმართოს, კანონების მიღების უფლება კი მხოლოდ პარლამენტს აქვს.

პრეზიდენტი სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმმართველი და განმხორციელებელი — კანონპროექტებზე ვეტოს უფლებით, ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი და ამისათვის ყველა უფლებამოსილებით აღჭურვილი.

— დამთავრდა საკონსტიტუციო ბატალიები, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ბრძოლა მოგებულია?

— საკონსტიტუციო ბატალიები თითქოს დამთავრდა, მაგრამ მთავარი ბრძოლა საქართველოსათვის — წინაა! ვერანაირი კონსტიტუცია, პოლიტიკური სისტემა, როგორი კარგი უნდა იყოს იგი, ქვეყანას ვერ გადაარჩენს, თუ კი, რეალურად არ შევუდგებით მის განხორციელებას, თუ კანონის შინაარსი და მისი შესრულების ორგანიზაცია ერთმანეთს არ ემთხვევა, ასეთი იდეა ჰაერში რჩება, ახლა მთავარია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ძირეული რეფორმაცია. დღეს მხოლოდ ისა გვაქვს სამაყო, რომ საქართველომ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან პირველმა მიიღო პირობებისათვის შესაფერისი კონსტიტუცია, რომელსაც რეალურად ძალუძს საქართველოს გაერთიანება, სეპარატიზმის აღკვეთა, ლტოლვილების დაბრუნება, ქვეყნის შეკვრა და განმტკიცება.

ახლა, საქმე ქართველი ხალხის გონიერებაზეა. მთავარი საკითხი ის გახლავთ, თუ ვინ დაეპატრონება ამ ბერკეტებს, ვინ ჩაიბარებს მას — გიჟი თუ გონიერი, მოძალადე თუ მშრომელი, წესიერი თუ ავანტიურისტი, ერთგული თუ ორგული. საქართველოს ძირითადი ომი წინ აქვს და იგი ხალხმა უნდა მოიგოს, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა მოიგოს. მხოლოდ ხალხის ნებას შეუძლია გაამარჯვებინოს არჩევნებში — ამა თუ იმ ძალას. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ისევ ჭაობში ვიჭრებით, თუ გაჭირვებიდან გამოსვლის გზას შევუდგებით.

— რეფორმატორთა კავშირი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, რას გვეტყოდით კავშირის უმთავრეს ამოცანებზე?

— რეფორმატორთა კავშირი არ ხელმძღვანელობს ვიწრო ინტერესებით. იგი მხარში ამოუდგება ყველა იმ პიროვნებას და პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც აქვს უნარი და შესაძლებლობა იკისროს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია — „არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ ყველასგან, მთელი საქართველოსაგან, მაგრამ მხოლოდ ღირსეულნი". მიგვაჩნია, რომ ყველამ, ვინც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილს განაცხადებს, საზოგადოებრიობის უმკაცრესი ფილტრი უნდა გაიაროს.

ხუმრობა იქით იყოს და ნუთუ ჩვენმა ხალხმა ვერ უნდა შეძლოს 200-მდე ღირსეული ადამიანის შერჩევა? ვერ შევძლებთ და მაშინ მართლაც ღვთის რისხვის ღირსი ვყოფილვართ, დიდი ნიკო ნიკოლაძე გვაფრთხილებს — „დაღუპული ყოფილა ის ერი, ის ქვეყანა, რომელიც თავის ბედს, თავის წინამძღოლობას უღირს პირებს ანდობს, იმის მაგიერ, რომ ითაოს და გაიძღოლოს უგონიერესი, უპატიოსნესი თავისი შვილები". ჩვენი უპირველესი მიზანი სწორედ ესაა. რეფორმატორთა კავშირს მიაჩნია რომ ამ არჩევნებში გამარჯვება საქართველოს საკუთარი თავის გადასარჩენად. შელახული ღირსების აღსადგენად სჭირდება. ამ არჩევნებში საქართველომ უნდა გაიმარჯვოს. და მე მჯერა — გაიმარჯვებს კიდეც. ნახავთ თუ არა!

ესაუბრა
ლალი ქინქლაძე.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს

ნავთობი: ვარაუდი და რეალობა

ასე მგონია, მთელ დუნიაზე ჩვენზე მეოცნებე ხალხი არსად აღარ ცხოვრობს. ეტყობა ამის საფუძველიც გვაქვს — ბოლო წლებში ქვეყანა ისე აწიოკდა და აირია, რომ უხმელ-უქონლად დარჩენილებს და ცაში გამოკიდებულებს ჭმელად ოცნებაღა შემოგვრჩა. სწორედ ჩვენნაირების საგზალია ოცნება, თორემ მდიდარი მას რა თავში იხლის, ერთი პირს დაალამუნებს და ყველაფერს ხონჩით მიართმევენ.

მაგრამ ოცნებაც არის და ოცნებაც. კაცმა შეიძლება მთელი ცხოვრება იოცნებო და რეალურად ვერაფერს ეწიო. ჩვენი ოცნების ახდენას კი, თურმე, ორი ქვის გადაბრუნება სჭირდება. გადააგორე ეს ქვები, ამოიღე ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ოქრო, სპილენძი, უამრავი სხვა თვალ-მარგალიტი, და იცხოვრე გალაღებულად...

ეს იმათთვის, ვისაც ოცნება უყვარს. ვინც რეალური საქმე უნდა აკეთოს, ის კი უამრავ პრობლემას აწყდება. იცოცხლეთ, საბადოები კი გვაქვს, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება შეგვიძლია? ვიდრე ნავთობსა და გაზს მოვიპოვებდეთ, დაგვჭირდება დიდი მოცულობის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩატარება, დიდძალი კაპიტალური დაბანდებები, ნავთობმრეწველობის ახალი ტიპის დანადგარები, სხვა საშუალებები, რის შესაძლებლობაც ქვეყნის გამოცარიელებულ ხაზინას, რა თქმა უნდა, არა აქვს.

მაშ რა უნდა ვქნათ, დავსხდეთ, გულხელი დავიკრიფოთ და ვიოცნებოთ? არა, ოცნება (თუმცა მას კაცი არ მოუკლავს). ქვეყნის დეფიციტურ ენერგეტიკას საკვებად არ გამოადგება. პრობლემის გადასაჭრელად დეპარტამენტმა „საქნავთობმა" სულ სხვა გზა აირჩია — ფართო საქმიანი კონტაქტები დაამყარა უცხოელ ინვესტორებთან, დიდი ოფლისა და გარჯის ფასად მოიზიდა ისინი და ქვეყნის სასიკეთო საქმეში ჩააბა. საზღვარგარეთულ კომპანიებთან შეიქმნა არა ერთი და ორი ერთობლივი საწარმო, გაფორმდა ხელშეკრულებები, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც.

მაინც რა ნაბიჯებიო, იკითხავთ თქვენ — საქართველოში უამრავი უცხოელი ბიზნესმენი ჩამოდის, ერთობლივი საწარმოებიც იქმნება, ხელშეკრულებებიც ფორმდება, მაგრამ ჯერ მათი გაკეთებული საქმე არავის უნახავსო. სხვათა შორის, ასეთი ეჭვები მეც მაწუხებდა, მაგრამ დეპარტამენტის თავმჯდომარესთან რევაზ თევზაძესთან შეხვედრამ ისინი მთლიანად გამიფანტა. გადავწყვიტე მისი ნაუბარი თქვენც გაგაცნოთ.

— ჩვენთან კაპიტალის დაბანდება, — მითხრა მან, — ყველაზე პირველმა ინგლისურმა კომპანია „ჯიბიეხმა" გაბედა (მაშინ სტაბილიზაცია საქართველოში ჯერ კიდევ პირველ ფაზაში იმყოფებოდა). მან ინტენსიური საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები გააჩაღა დასავლეთ საქართველოში, სადაც (სუფსის საბადოზე) უკვე გაბურღულია 2720 მეტრამდე. ვვარაუდობთ, რომ 3700 მეტრზე გაიხსნება ნავთობშემცველი ჰორიზონტები და ოქტომბერში უკვე პირველ პროდუქციას მივიღებთ. მუშაობა, რა თქმა უნდა, ამით არ დამთავრდება, პირიქით, ამ რეგიონში ინტენსიური ბურღვა გაჩაღდება.

ამასთან, აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შავი ზღვის სანაპიროს შელფურ ნაწილში, სადაც ნავთობშემცველობის პერსპექტივით, ინგლისურ ფირმასთან ერთად, მსოფლიოში ცნობილი უმსხვილესი ამერიკული კომპანია „შელიც" დაინტერესდა. თავისთავად ის ფაქტი, რომ „შელი" „ჯიბიეხთან" წილში შესვლას (40 პროცენტი) აპირებს, აქ ნავთობის დიდ პერსპექტივაზე მეტყველებს.

მარტო ეს არ არის. ამ დღეებში ნინოწმინდის საბადოზე ჰორიზონტულ ბურღვას დაიწყებს ამერიკული ფირმა „მაკოილი". თუ შედეგი მივიღეთ, იგი სამუშაოებს მანავისა და დასავლეთ რუსთავის ნავთობშემცველ რეგიონებშიც გააგრძელებს.

ერთობლივი ფირმა „იორის ველი" (შვეიცარია-საქართველო) ჯერ კიდევ აგვისტოში შეუდგა საქმიანობას. მას ჩაბარებული აქვს სამგორის სამხრეთი თაღი და თელეთის საბადოები, აგრეთვე ვარკეთილი და სამგორის შემოგარენი, სადაც დებეტის გასაზრდელად უნდა ჩატარდეს როგორც ინტენსიფიკაციის, ისე ახალი საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები. აქ განზრახულია წლის ბოლომდე ყოველდღიური ნავთობის მოპოვება 800 ტონიდან 2 ათას ტონამდე გაიზარდოს.

ამავე რეგიონში ფართო მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის საბადოების გასახსნელად. არ არის გამორიცხული, რომ რესპუბლიკა გაზის პირველ ნაკადს უკვე ახალი წლის დასაწყისიდან მიიღებს. თუ რა მოცულობის იქნება იგი, ამას საძიებო სამუშაოები დაადგენს. სამისოდ უკვე შეძენილია 2 მილიონი დოლარის მანქანა-დანადგარები.

საქმეს შეუდგა ავსტრალიურ კონსორციუმ „კროვპუდთან" შექმნილი ერთობლივი საწარმოც. დაიწყო ნორიო-საცხენისის საბადოების საექსპლოატაციო ჭაბურღილების გადაბარება, სადაც მათ უნდა აწარმოონ დებეტის ინტენსიფიკაციის სამუშაოები. ამ საბადოების შემოგარენში გაიბურღება პირველი ორი საძიებო ჭაბურღილიც.

ავსტრალიელები მალე სამუშაოებს დაიწყებენ დედოფლისწყაროს რაიონშიც, სადაც ისინი მირზაანის, პატარა შირაქის და ტარიბანის ძველი საბადოების აღდგენას გვპირდებიან. მათივე დაკვეთით ჰიუსტონში იწყობა მცირე გამტარობის ნავთობგადამამუშავებელი დანადგარი, რომლის დასამონტაჟებლად სამგორის საბადოს მიდამოებში ყველაფერი უკვე გამზადებულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლოსთვის ქარხანა ამოქმედდება და ნავთობის პირველ პროდუქციას მოგვცემს.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აქედან? უპირველესად ის, რომ საზღვარგარეთის კაპიტალმა საქართველოსკენ მოდინება დაიწყო. ქვეყანა დამშვიდდა, დაწყნარდა, პოლიტიკურად სტაბილური გახდა და უცხოელი ინვესტორიც მაშინვე გამოჩნდა. ისინი ახლა მარტო საბადოებს კი არ ზვერავენ და ხელშეკრულებებს აფორმებენ, უკვე საქმესაც აკეთებენ.

რა თქმა უნდა, ეს ერთი ხელის დაკვრით და უმტკივნეულოდ არ გაკეთებულა. იყო უამრავი წინააღმდეგობა, პრობლემა, გადაულახავი ჯებირი. ინვესტორების მოსაზიდად საჭირო იყო უამრავი მასალის მომზადება, კომპიუტერზე გადამუშავება, სამუშაოთა რენტაბელურობის მიზნით მათი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რაც მთავარია, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება. დიდი მცდელობის მეოხებით ეს ყველაფერი გაკეთდა და უცხოელმა ბიზნესმენებმაც გარისკეს. შეიქმნა ერთობლივი საწარმოების მოგების განაწილების მექანიზმი, რომელიც ყველასთვის თითქმის ერთნაირია: მოგების 70 პროცენტი რჩება საქართველოს, 30 პროცენტი — ინვესტორს. ცალკეულ შემთხვევებში ჩვენი წილი ზოგჯერ 75 პროცენტსაც აღწევს.

იმ სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხოელ ინვესტორებთან პარტნიორობით წარმოიქმნება, რა თქმა უნდა, იცვლება „საქნავთობის" დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის ფუნქციებიც. აქ უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები, რისთვისაც დეპარტამენტის სააქციო საზოგადოებად გარდასაქმნელად ფართო პლანის სამუშაოები მიმდინარეობს. არის პრობლემები, სიძნელეები, რომელთა გადასაჭრელად „საქნავთობი" მთავრობისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მხარდაჭერასა და თანადგომას მოითხოვს.

საქმის დაჩქარება მით უფრო აუცილებელია, რომ ერთობლივი საწარმოების დაკომპლექტება და დატვირთვა წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. ვისით დაკომპლექტდება ეს საწარმოები? რა თქმა უნდა, პირველ რიგში „საქნავთობის" სპეციალისტებით. უცხოელ ინვესტორებთან საქმე ისეა დასაქმდებიან დეპარტამენტის ის სტრუქტურებიც, რომლებიც საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას ემსახურებიან.

თუ როგორ განვითარდება ეს მრეწველობა, უახლოეს 2-3 წელიწადში გამოჩნდება. ბატონ რევაზ თევზაძის ვარაუდით, ეს პერიოდი სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ საქართველო საკუთარი საწვავ-სათბობით დაკმაყოფილდეს. რესპუბლიკის მრეწველობისა და მოსახლეობისათვის დაიწყება ბუნებრივი გაზის მიწოდებაც.

ეს უკვე რეალურ შესაძლებლობებს ეფუძნება და არა ოცნებას. თუმცა, საოცნებოც დაგვრჩა. აი, თუ აზერბაიჯანის ნავთობის მაგისტრალი საქართველოზე გაივლის, მაშინ მთლად „შავი დღელებივით გავკეთდებით". ამ მხრივ, ჩვენს რესპუბლიკას როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ისე ეკონომიკური უპირატესობანი გააჩნია. საამისოდ შეიძლება გამოიყენონ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მაგისტრალური ნავთობსადენიც (გაჩიანი-სუფსა), რომელიც უზრუნველყოფს აზერბაიჯანიდან პირველადი ნავთობის გატარებას.

დიახ, პერსპექტივა დიდი გვაქვს, საქმე კი... ვითომ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება? ვნახოთ, დავუცადოთ მოვლენების განვითარებას.

ოთარ ხუციშვილი.

ხიდები

მოქმედებს ერთობლივი საწარმო

ბათუმში შეიქმნა საქართველო-ისრაელ-ინგლისის ერთობლივი საწარმო.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ეს საწარმო უშვებს ბუნებრივი ციტრუსის წვენებს პაკეტებით. ერთობლივი საწარმო ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით იმუშავებს. ტექნოლოგიური პროცესის მართვის კომპიუტერული სისტემა შესაძლებელს ხდის დღეში ასი ათასი პაკეტი სურნელოვანი პროდუქციის გამოშვებას. (საქინფორმი).

ჟურნალისტური გამოძიება

სახიფათო თამაში

დიდი თაგვი

წინა წერილში ქარელის რაიონის გამგებელსა და მის გუნდზე ვსაუბრე.

საინტერესოა თემურ გოჩაშვილის მოღვაწეობის ერთი პერიოდი — ქარელის საკონსერვო ქარხნის დირექტორად მუშაობა.

1993 წელს ქარელის საკონსერვო ქარხანას 33 მილიონი კუპონის დავალიანება ჰქონდა. საჭირო იყო ამ ვალის სასწრაფოდ დაფარვა. თემურ გოჩაშვილმა დახმარებისთვის ბიძლარ ხატიძეს — ფირმა „ედოს" ხელმძღვანელს მიმართა. „ედომ" დაფარა დავალიანება, რის სანაცვლოდაც უნდა წაეღო ქარხნის სპირტით დამზადებული არაყი „გლეხური". ფირმა „ედომ" თავისი სპირტიც შემოიტანა, რომელიც გაატარეს ქარხნის შემოსავალში, როგორც ეს ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულებით იყო გაფორმებული. ქარხანამ ჩამოასხა „რუსკაია ვოდკა" და სარეალიზაციოდ „ედოს" დააწერა.

ზუსტი რიცხვების დასახელებისგან თავს შევიკავებ და ვიტყვი, რომ „ედოს" შეტანილი სპირტით დამზადებული 300 ათასამდე ბოთლი „რუსკაია ვოდკა" ფირმამ თითო ბოთლი 125 კუპონად წაიღო, ხოლო 60 ათასამდე ბოთლი „გლეხური" არაყი — 130 კუპონად. როცა ამის შესახებ გამგებელს ვესაუბრე, ხელები გაასავსავა — „ქარხნის სპირტით არაფერი დამზადებულა, ყველაფერი შემოტანილი სპირტით დავამზადეთ. რაც შეეხება ფასებს, არ მახსოვს, მაგრამ შემოტანილსაც და ადგილობრივსაც, საერთოდ, რენტაბელობის 20 პროცენტს ვართმევდით და ასე იყიდებოდა. ქარხანას არაფერი გაუყიდია, ყველაფერი, რაც გაიყიდა, მოგებით იქნება დამთავრებული".

ახლა სხვა ვნახოთ.

1993 წელს გოჩაშვილ-ღვინიაშვილის დუეტმა (ღვინიაშვილთან ურთიერთობას გამგებელი დღეს, რატომღაც, უარყოფს), „გაბედული" ოპერაციებით [illegible] თვალი „მოტეხა".

ამ ოპერაციათა გაბედულება იმით გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფო საქონელი გაიტანეს იაფად და გაყიდეს ძვირად, სახელმწიფოს კი, რა თქმა უნდა, იაფად გაყიდულის შემოსავალი დაუბრუნეს.

ელემენტარული მათემატიკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით მხოლოდ, რომ ფირმების „კორეკონის", „კლდიკარის", „მამკოდას" და „რუზის" მეშვეობით 240.940 ბოთლი არაყი „გლეხურის" მაჩინაციური გაყიდვით ქარხანას 4 მილიონ 700 ათასზე ცოტათი მეტი რუბლი ჩაურიცხეს, თვითონ კი (ორმა კაცმა) 67 მილიონზე მეტი რუბლი ჩაიჯიბა.

გეყოს, რა!

მაგრამ თემურ გოჩაშვილი აღმართს მიუყვებოდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს რ" № 180,

ფირმა „ედომ" ქარხანაში შემოიტანა „ტარიბანა" და ბოთლებში ჩამოასხა შემაგრებული პორტვეინი. ეს არც თემურ გოჩაშვილმა უარყო ჩემთან საუბარში. პორტვეინი ჩვეულებრივად ბოთლებში ჩამოასხეს და ქარხნის ეტიკეტიც მიაკრეს.

როგორ თუ მაჯობესო, მადა მოემატა, თხა თხაზე ნაკლებიო და თვითონაც ღვინიაშვილთან (რომელსაც არ „იცნობს") ერთად შემოიტანა „ტარიბანა", მაგრამ ისე კი არ ჩამოასხა, როგორც ეს „ედოსთვის" გააკეთა, ჭილებში ჩამოასხა, ვითომ წვენი იყო. პოდა, 4 ვაგონი ჭილებში ჩამოსხმული „წვენი" რკინიგზის სადგურში დააკავეს. რაიონის მაშინდელმა გამგებელმა დაინდო თემურ გოჩაშვილი ანუ არ „გააფუჭა", ეს საქმეც ჩაიფარცხა. ამბობენ, რას არ იტყვიან...

აი, რა აძლევდა უფლებას თემურ გოჩაშვილს გამგებლად მოსვლის შემდეგაც თამამად მოეთხოვა ფული ყველა სტრუქტურისგან.

შერჩა.

გასარკვევია ამჟამად მოსკოვში მყოფი ყოფილი პრეფექტის შუბითიძის ურთიერთობაც საკონსერვო ქარხანასთან და მის დირექტორთან.

ამის შემდეგ, გინდა არ გინდა დაეჭვდები. იქნებ, მართალია, რომ მავანის ერთი სოფლის გამგებლად დანიშვნისთვის (თუმცა, ჯერ არ დაუნიშნავს) „ბალჩა" ბეჭედი მიიღო?

იმასაც დაიჯერებ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ რევიზორს წლეულს, იანვარში მეურნეობებიდან 500-500 ათასი რუბლი შეუგროვეს და კმაყოფილი რევიზორიც რა დასკვნას დაწერდა, ადვილი მისახვედრია.

ასე ხრავს „თვითონ მოურავი" ყველაფერს, რაც ბილიკში სახრავი დარჩა.

რაზმო, სწორდი!

ამას გაიდარის ცნობილი ნაწარმოების გმირი — თემური ამბობს. ჩვენი გმირი თემურ გოჩაშვილი კი ამას ვერ იტყვის. იმიტომ, რომ მას რაზმი არა ჰყავს. ის მოჩვენებითი ავტორიტეტიც, რის შესახებაც შარშან გაზეთ „კავკასიონში" ვწერდი, საპნის ბუშტივით გასკდა. თანამოაზრეთა გუნდის შემოკრებაც ზღაპარი ყოფილა და ის სიტყვებიც აფნისში რომ მითხრა, „გამგებლობა დიდი სასჯელიაო", ხშირად ექცა. ამ „სასჯელის" შემამსუბუქებელი, გამგებლის სიტყვებით, თურმე, ერთადერთი რამ ყოფილა — „მშრომელი ადამიანის კმაყოფილი სახეები". „დანის ქვეშ ღრიალი არ შეიძლებაო", — მითხრა მაშინ გამგებელმა გამომშვიდობებისას. დღეს ქარელში მშრომელთა კმაყოფილ სახეებს ვეღარ ნახავთ, „დანის ქვეშ" აღრიალებულებს კი ბევრს შეხვდებით.

ნუ გაიკვირვებთ, რასაც ახლა გეტყვით. აფნისის გზაზე ავტომანქანით მიმავალი თემურ გოჩაშვილი გააჩერა, იარაღი დაადო, დაიჩოქა(!), აგინა და მეურნეობის დირექტორად დანიშვნა მოსთხოვა ერთმა ახალგაზრდა, ენერგიულმა კაცმა (ასეთები უყვარს გამგებელს!). მართალია, გამგებელმა დირექტორად არ დანიშნა, მაგრამ დირექტორის მოადგილეობა კი უბოძა.



ეს ამბავი არავისთვის რაიონში საიდუმლო არ არის და მკითხველმა განსაჯოს, რა ავტორიტეტი ექნება ასეთ კაცს ქარელში, ან რა გუნდი ეყოლება. მისი წინამორბედი დიდის გინებას ვის შეარჩენდა, ერთი მუშტის დარტყმით აღკვეთდა მოძალადის მოთხოვნას.

გამგებლობა მხოლოდ უნარი და წვრთნა როდია. არჩეული ცხოვრების გზისადმი სულიერი შესაბამისობა საშუალებას გაძლევს და ძალას გმატებს მშვიდად გადალახო ყველა წინააღმდეგობა, შენი ვალი ბოლომდე შეასრულო, მოწოდებისადმი ეს შესაბამისობა ისეთივეა, როგორიც მხატვრის, მეცნიერის, მსახიობის — ჭეშმარიტი პროფესიონალის, რომლისთვისაც საყვარელი საქმეა მთავარი.

როცა ზემოთ თქმული ფაქტის შესახებ რაიონის პროკურორს ველაპარაკე და შევეკითხე, რატომ არ გეცოდებათ, რატომ ამცირებთ, აბუჩად იგდებთ, ღირსებას ულახავთ გამგებელს-მეთქი, სიცილით მიპასუხა, რატომ დაიჩოქა, არ ჯობდა ასე სახელშერცხვენილ სიარულს, წინააღმდეგობა გაეწია მოძალადისთვის, მართლა ხომ არ მოკლავდაო.

ქარელში გამგებლის ძალაუფლება ფიქციაა. არც ეს არის ვინმესთვის საიდუმლო.

რაიონი დაყოფილია გავლენის სფეროებად: რაიონის გამგებელი აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსთან ერთად რამდენიმე მეურნეობას მფარველობს და იქიდან აქვს შემოსავალი; გამგებლის პირველი მოადგილე აკაკი ყუფიანი რაიკავშირს, ნავთობბაზას, კომერციას კურირებს, პროკურორი და პოლიციის უფროსი საერთოდ ცალკე მოქმედებენ...

მოკლედ, საქმე ისეა აწყობილი, რომ გამგებელს არაფერს ეკითხებიან.

• • •

1995 წლის 4 აგვისტო. გამგებლის კაბინეტი. „საუბრის პრესისთვის" განკუთვნილი ნაწილი ჩავწერეთ და ახლა გულახდილად ვსაუბრობთ. ვუზიარებ ჩემს დაკვირვებას (არ მინდა, ამას „აღმოჩენა" ვუწოდო) და თვალებში ვუყურებ. დუმს. პაუზა გაგრძელდა. ბოლოს თავს მიქნევს. მის თვალებში ადვილად ამოიკითხავდით მარტოსული, განწირული ადამიანის ვედრებას — აშკარად შველას ითხოვდა. იმ მგზავრივით იყო, რომელმაც თვითმფრინავის გაფრენის წინ დაკარგა ბილეთი. ძნელია იმის განსჯა, სახემოღუშული, ჩაფიქრებული, რაზე წუხდა... აღშფოთება და ტკივილი კი აშკარად გამოეხატა სახეზე.

იქნებ, ახლა ხვდება თემურ გოჩაშვილი, რომ მართვის სადავეები დაკარგა. უფრო სწორედ, თავიდანვე არ აიღო ხელში. ახლა მწარედ ნანობს, მაგრამ უკვე გვიანია.

გამგებლად დაინიშნა და ეგონა, რომ ქვეყანა მოწყობილი იყო მისთვის და ასე იქნებოდა მუდამ. რომ ცხოვრების წესი და კანონი ვიღაც სხვას ეხება და არა მას. დღესაც კი, როგორც ბავშვი, ფიქრობს, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩება. შეიძლება მიხვდა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეეგუა, რომ ცხოვრება გარდუვალი ცვალებადობაა, თუმცა, ხშირად შეუმჩნეველი. ამიტომ, ყოველთვის მზად უნდა იყო ნებისმიერი მოულოდნელობისთვის, რადგან მოულოდნელობაში ყოველთვის არის ნაწილი იმისა, რაზეც წინასწარ ვფიქრობთ.

ამიტომ — ვიფიქროთ, ბატონო თემურ!

რაიონის სათავეში ყოფნა, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, ჩვეულებრივზე უფრო დიდ ნებისყოფას მოითხოვს. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ ადამიანს ჩვეულებრივ არ შეუძლია გავლა დიდ სიმაღლეზე გადებულ ისეთი სიგანის ფიცარზე, რომელზედაც მიწაზე დაუფიქრებლად გაივლის.

ძალიან მაღლა გადებული აღმოჩნდა გამგებლობა ბატონ თემურ გოჩაშვილისთვის, მიზანიც დაკარგა ავტორიტეტთან ერთად და დახვავდა შეცდომებისა და შეუსაბამობათა გროვა. ქარელის რაიონში საზოგადოებრივი წყობის [illegible] გაწყვეტის საშიშროება ემუქრება.

ქარელელებს ეეჭვებათ, რომ გამგებელმა შეძლოს ამ პროცესის შეჩერება.

ბონდო მძინარაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

ცენა სპექტაკლიდან „ლამარა“.

თეატრი

იწყება განახლება!

ოლო წლების ბათუმის კულტურული ცხოვრების ფონზე კუნძულივით იყო განცალკევებული დრამა- ლი თეატრი, რომელიც ღრმა კრიზისს განიცდიდა. შე- ქმედებითი უძრაობა, დასის მოშლა, რასაც მსახიობთა რეჟისორთა გარკვეული ნაწილის წასვლა მოჰყვა, სა- ნებელში აგდებდა ადამიანებს, რომელთაც კარგად ახ- ვდათ თეატრის სისხლსავსე ცხოვრება.

ლ. მირცხულავას მისვლამ რწმენა მისცა თეატრს. გა- ცდილმა ოსტატმა გაამთლიანა თეატრი და ეს იყო ირველესი ძალა, რომ მან შესძლო ურთულეს პრობ- მებს შესჭიდებოდა. პარალელურად ორ პიესაზე დაი- ო მუშაობა, ორთავე პრობლემური და ახალი ეტაპი- თვის „სასინჯი ქვა“. აირჩია გრ. რობაქიძის ერთობ სა- სკო პიესა „ლამარა“ და არანაკლებ სარისკო ჟ. ანუის ოროლა“.

„ლამარათი“ ხომ არ იწყებოდა მივიწყებული თეატრა- ური ესთეტიკის განახლება? შესძლებდა თეატრი ჟ. ანუ- ინტელექტუალური პიესის დაძლევას? კითხვები შეი- ება გაგრძელდეს, იმდენი პრობლემა იყო ერთბაშად ასაწყვეტი. მხოლოდ ყველა პრობლემის გათვალისწი- ბით შეიძლება შეფასდეს მიღწეული ღირებულებანი. გრ. რობაქიძის „ლამარა“ ქართული თეატრის ბედის- ა იყო.

1926 წელს „ლამარას“ პირველ დადგმას მის რეჟი- რს კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს შორის კონფ- ქტის გაღრმავება და გათიშვა მოჰყვა.

კოტე მარჯანიშვილმა პირველად სწორედ ბათუმში ა მისი ავადმყოფობის გამო ახმეტელის მიერ დასრუ- ბული სპექტაკლი „ლამარა“ რუსთაველის თეატრის ტროლების დროს.

„ლამარა“ გამოხატავდა მიმტევებლობისა და თანადგო- იდეას, ხოლო მის დამდგმელთა ურთიერთობაში პი- ქით ხდებოდა.

1930 წელს ს. ახმეტელმა „ლამარა“ დამოუკიდებლად დგა და ტრიუმფალური წარმატების ზარზეიმს სიძულ- ლისა და დევნის აჩრდილიც თან სდევდა. სერგო ორ- ნიკიძე მაშინ „გაეხუმრა“ გრიგოლ რობაქიძეს — „ეს ნაციონალისტური პიესა დაგიწერიაო“.

ი. სტალინმა წარმოდგენა ნახა და მოეწონა. ახმეტელ- ნ სურათიც გადაიღო. ახმეტელმა სურათი თეატრის იეში გამოჰკიდა. ბერიამ უბრძანა სურათი ჩამოეხსნა, გრამ ახმეტელმა არ დაუჯერა და ძვირადაც დაუჯდა თამამე.

ისევ დატრიალდა „ლამარას“ ირგვლივ საბედისწერო რხი.

პროლეტარულმა კრიტიკამ სპექტაკლს ცეცხლი გაუხსნა, რატომ არ ჩანს სცენაზე კლასთა ბრძოლაო!...

სპექტაკლი მოხსნეს!

ახმეტელმა სპექტაკლი გაუშვა!...

გრ. რობაქიძე საზღვარგარეთ წავიდა. აშკარა საბაბი ეცათ ფართოდ გაეშალათ ბრძოლა ახმეტელისა და სი სპექტაკლის წინააღმდეგ. სპექტაკლი კი ახმეტელის ატრის ეროვნულ ფუნდამენტს და მის ძირითად ეს- ტიკურ პრინციპებს გამოხატავდა.

ბრძოლა იყო დაუნდობელი. ახმეტელის „იდეოლოგიურ ცდომათა“ ერთ-ერთ მიზეზად „ლამარა“ იქცა.

აი ასეთი ბედის ნაწარმოებს შეეჭიდა თეატრი!...

„ლამარას“ პირველი დადგმიდან, მისი პირვე- კონფლიქტური ცხოვრებიდან 70 წლის შემდეგ მირცხულავამ ბათუმის თეატრის სცენაზე შემოგვთა- ზა პიესის სცენური გადაწყვეტის ახალი ვერსია, მაგ- მ დატოვა **მიმტევებლობის იდეა, როგორც ყველაზე ნივერსალური ღირებულება.** იგი უფრო მეტია, ვიდრე ძულვილი და თვით რელიგიური განსხვავებანიც.

ალსდგა ჰარმონია. მხატვრული ნაწარმოების სულისკ- თება თანხმიერად აჟღერდა ფართო აუდიტორიაში. **ულობისა და მხატვრული სინამდვილის ამ ერთობას ლეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს.**

„ლამარაში“ გაერთიანდა რეჟისორის ლ. მირცხულა- ს, კომპოზიტორ ს. კეჭაყმაძის და მხატვარ გ. გუნიას ლასი შემოქმედებითი ნიჭიერება, მაღალი პროფესიუ- კულტურა და მისწრაფება დაეძლიათ გმირთა მეტყ- ლების კოლორიტის გაუცხოების მომენტები, ექსპო- ციის ხანგრძლივობისა და პიესის დადგმის მძლავრი ტრადიციის ფსიქოლოგიური ბარიერი, ამასთანავე დასაძლევი იყო 20-იანი წლებისა და დღევანდელი მაყურებლის ინტერესების, გემოვნების, სათეატრო ესთეტიკის სხვაობათა რთული შრეები, თანამედროვე მონაწილეებს თავს ადგათ ისტორიული სპექტაკლის შემსრულებელთა აჩრდილები. ყველაფერი ეს ერთი ხელის მოსმით ვერ დაიძლეოდა. ჩვენ უნდა გვახარებდეს რაც მიღწეულია. განა ყოველ ჩვენთაგანსაც არ ეხება დამთმობისა და მიტევების ზოგადჰუმანისტური პრინციპი, ასე ნათლად რომ გამოიკვეთა სპექტაკლში?! მასში უფროსი თაობის სცენის ოსტატებს ი. ცანავას (ნაიბული), მ. შერვაშიძეს (ქავთარი), ა. ტაკიძეს (იჩო), რომლებმაც მხრებით მოიტანეს თეატრის უახლესი ისტორია, გვერდში უდგას ნიჭიერი ახალი თაობა. მათ შესძლეს ურთულესი პიესის აზრის, მისი პლასტიკური და რიტმული სახის გამოხატვა. ცალკეული ექსპრესიონისტული სქემების მიღმა შეიგრძნობა ძლიერი მისწრაფება სამყაროს ზეაწეულ რომანტიკულ ფორმებში გამოხატვისა. ახალ არტისტულ შესაძლებლობას ავლენს ლამარას როლში ლ. აბულაძე, მას აქვს დრამატულის განცდის ძალა, გმირის ქცევის პლასტიკური გადაწყვეტის ნიჭი, მინდიას ურთულეს როლს ასრულებს ქ. კობალაძე. ძლეული იქნა სირთულე და ეს არის წარმოდგენის მნიშვნელოვანი ფაქტორი. სპექტაკლის საერთო გადაწყვეტის რთულ სტრუქტურაში ლ. აბულაძის ლამარა, ა. სვანიძის თორღვაი და ქ. კობალაძის მინდია ქმნიან სტილურად მთლიან ანსამბლს, სადაც ახალგაზრდულ გულწრფელობას, ტემპერამენტსა და რიტმის გრძნობას ავსებს აზრის სიმწიფე, მოვლენის მთლიანობაში განცდის უნარი და გრძნობა მათთვის სრულიად უჩვეულო მასალის გათავისებისა.

გრ. რობაქიძის პიესაში სამიოდე როლის გარდა მეტწილად ეპიზოდური სახეებია, მაგრამ ძალიან ზუსტად არის განსაზღვრული მხატვრული ფუნქცია. ამიტომ შემსრულებლისაგან მოითხოვს ანსამბლის გრძნობას, ფორმათა სიმკვეთრეს, რასაც წარმატებით წყვეტენ ბ. ბარათაშვილი (გელა), ბ. მიქაუტაძე (ლეგაი), ნ. იაკობიძე (დანიში), მ. აბულაძე (მურთაზი), ბ. ინწკირველი (პილღირი). ყველა სახე მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება ანსამბლურობის, წარმოდგენის საერთო ესთეტიკური კრიტერიუმების გამოხატვას.

სპექტაკლის კომპოზიციურ გააზრებაში ბუნებრივად მოექცა მომღერალ გოგონათა ქორო-ვოკალური ანსამბლი (ხელმძღვანელი გ. ნოღაიდელი) და მოცეკვავე გოგონათა ანსამბლი „სატრფიალო“ (ხელმძღვანელი ზ. აბაშიძე). მონაწილეობს აგრეთვე ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი (ქორმეისტერები ა. ჩხენკელი, რ. გვაზავა, ზ. ვადაჭკორია, გ. ვადაჭკორია, ქ. მანელიშვილი). არც ეს არის შემთხვევითი. ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ახლად შექმნილ და წარმატებულ საოპერო თეატრთან თანამშრომლობის ფაქტთან, არამედ უფრო მეტთან, — დრამატული და საოპერო რეჟისურის მხატვრულ საშუალებათა სინთეზირებასთან, რაც დამდგმელი რეჟისორის ფართო შესაძლებლობათა გამოვლენაც არის.

ჟ. ანუის „ტოროლა“ სრულიად განსხვავებული ხელწერის სპექტაკლია. მეტად წარმოჩნდა თეატრის სამსახიობო შესაძლებლობანი. აქ ლ. მირცხულავა არა მხოლოდ დამდგმელია, არამედ რეჟისორ-პედაგოგიც, სადაც სპექტაკლის ერთიანი გააზრება კრიალოსანივით არის აწყობილი თითოეული სახის, მიზანსცენის რთულ სისტემაში. თითქმის ყოველი მსახიობი მოქმედებს ზუსტად, განსაზღვრულია მისი ქცევის აზრიცა და რიტმიც.

მარტო მაია ცეცხლაძის ჟანა დარკი და მალხაზ აბულაძის შარლი რომ იყოს, სპექტაკლის ღირსებისათვის ესეც კმარა. ახალგაზრდების ხალასი ნიჭიერების წარმოჩენა, თეატრის დიდი წარმატებაა. მ. ცეცხლაძემ, რომელსაც აქვს შინაგანი ძალა, სცენური მომხიბვლელობა, რიტმის გრძნობა, აზრის ემოციური განცდა, ზუსტი პლასტიკური გამომსახველობა და მკაფიო მეტყველება, გმირს ახალი სიცოცხლე შესძინა.

ეს არის მაიას ჟანა დარკი!

რა კარგია, რომ თეატრს დაუბრუნდა ზურაბ ცინცქილაძე. მისი წარმოსადეგი, ელეგანტური გრაფი ვარვიკი გამოირჩევა თავისი ლაკონური გამომსახველობით, აზრიანობით და სცენური კულტურით.

როცა უყურებთ ი. ცანავას კოშონს, მ. შერვაშიძის ფისკოლს, ნ. საკანდელიძის დედოფალს, რ. კაკაურიძის ბოდრიკურს, ა. ტაკიძის არქიეპისკოპოსს და ბ. ინწკირველის ინკვიზიტორს, თეატრის საუკეთესო წლები გაგონდება. ეს არის ნოსტალგია. მდიდარია გამოცდილი ოსტატების შემოქმედებითი პოტენციალი, ისინი ინტელექტუალურ დრამაში ქმნიან ხასიათებს, სადაც მათი ოსტატობა ბუნებრივად ერწყმის ახალგაზრდათა გულწრფელობასა და სცენურ ტემპერამენტს. იქმნება მთლიანი წარმოდგენა, სადაც ყოველი მსახიობი პოულობს თავის ხდგილს. ეს არის სწორედ ის, რაშიც რეჟისორ-პედაგოგის ფენომენი ძევს.

სპექტაკლის მხატვრული სამყარო, რომელსაც პიესა, რეჟისორი და მსახიობები ქმნიან, საუკეთესო სცენოგრაფიულ გადაწყვეტაში ვლინდება. მონუმენტური, მაგრამ სადა, უაღრესად მკაცრი და სახიერი დეკორატიული გამომსახველობა (გ. გუნია) კრავს სპექტაკლს.

აჭარაში, სადაც იმთავითვე შენარჩუნებული იქნა სტაბილურობა, საუკეთესო ფონი იყო შემოქმედებითი მუშაობისათვის, მაგრამ ახალი სისტემა, სადაც ფულის კეთება წარმოადგენს არამარტო ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობას. არამედ საზოგადოების იდეალსაც, თრგუნავს შემოქმედებით ძალებს, თუ ხელოვნებას მფარველი არ ჰყავს.

ასეთ მფარველად აჭარაში კულტურას ასლან აბაშიძე გამოუჩნდა.

ოპერის თეატრში გ. ჟორდანიასა და გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლების აღიარებული წარმატებები და გასტროლები, გ. ჟორდანიას გაცხოველებული მუშაობა ოპერაში „ოტელოს“ დადგმაზე, დრამატული თეატრის მიღწევები, — ყველაფერი ერთად ქმნის ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროს.

ბათუმის დრამატულ თეატრს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლევან მირცხულავა და წარმოადგენს გარკვეულ გარანტს თეატრის აღმავლობისათვის, ერთბაშად ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, რაც სრულიადაც არ იძლევა დამშვიდებისათვის საფუძველს. მე კარგად ვიცნობ ბათუმის თეატრის ისტორიას და თანამედროვეობასაც. ვიცი, რომ თეატრი ბრძოლაში გასულ მეომარსაც ჰგავს, მუდამ შემართული და მზადმყოფი უნდა იყოს რიცხობრივად პატარა ხალხების კულტურებს დაუდგათ არანაკლებ მძიმე დრო, ვიდრე წარსულში ჰქონდათ. ერისათვის არა აქვს მნიშვნელობა რუსიფიკაცია გათქვეფს მის თვითმყოფადობას თუ ამერიკანიზაცია, — სულ ერთია. ქართულმა თეატრმა სწორედ თავდადებით, ბრძოლით შეინარჩუნა და აღამაღლა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა განვლილი სამოცდაათი წლის მანძილზე. ამ პროცესში მუდამ შეჰქონდა თავისი წვლილი ბათუმის თეატრს. მისი დიდი ტრადიცია და ამჟამინდელი შემართება, თანადგომა და დახმარება არის თავდები, რომ თეატრისაგან ახალ მიღწევებს უნდა ველოდოთ!

ვასილ კიკნაძე,
ჩვენი თეატრალური მიმომხილველი.

შალვა ართმელაძის და ანზორ ჩანტლაძის ფოტოები.

სცენა სპექტაკლიდან „ტოროლა“. ჟანა — მ. ცეცხლაძე, შარლი — მ. აბულაძე.

ეს ჩვენი ისტორიაა

ალეკო ასლანიშვილი

და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს

პირველი თამამი სტუდენტური ნაბიჯები ამ ქალაქის სახელგანთქმული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე...

და უცებ თავზარდამცემი ელდა — საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო!

ხვალ 26 მაისია. გერმანიაში მყოფი ყველა, სამოცივე სტუდენტი ერთად ვიდღესასწაულებთ. ბერლინში ვიკრიბებით — საელჩომ მიგვიპატიჟა. გადავწყვიტეთ, ხანამ აქ ვიქნებით, ყოველი 26 მაისი ასე ერთად ვიზეიმოთ ხოლმე — ჰალედან 1921 წლის 25 მაისს შინ გამოგზავნილი წერილიდან.

მალე საქართველოში აგორებული ქარბორბალას სუსხი იქაც მისწვდათ — სტუდენტებს მთავრობის სტიპენდია შეუწყდათ. უსახსროდ დარჩენილი ჭაბუკები სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

ნოე ჟორდანიას მთავრობა აწი, რასაკვირველია, ვერავითარ მუდმივ დახმარებას ველარ გაგვიწევს. მრავალი ქვეყნის საქველმოქმედო საზოგადოებებსა და კერძო პირებს მივმართეთ. პირველი დახმარება უკვე მივიღეთ. ოქტომბრის ბოლომდე გვეყოფა, თანაც აქამდე, ხანდახან და ცოტა-ცოტას, მთავრობაც გვეხმარებოდა. დიდი იმედი გვაქვს, რომ სხვებიც გამოგვიწვდიან ხელს — ჰაიდელბურგიდან 1921 წლის 9 ივლისს შინ გამოგზავნილი წერილიდან.

არ გაუმართლდათ იმედი. უცხო იმის უცხოა, რომ შენთვის თავს არ აიტკივებს. ჩქარა დარწმუნდნენ, რომ სხვისი მოიმედეობა არას არგებდათ. მაგრამ უმუშევრობითა და კრიზისით გატანჯულ ომისშემდგომ გერმანიაში ძნელი იყო თავის გატანა..

1923 წელს გიორგი, სოფრომ მიხელიძე და იოსებ ელიავა საფრანგეთს გაემგზავრნენ სამუშაოდ, რათა სწავლის გასაგრძელებლად ფული ეშოვათ. ქალაქ რუბეში ზეთსახდელ ქარხანაში იშოვეს ადგილი. მაგრამ დღიური გამომუშავება თავის სარჩენადაც არ ჰყოფნიდათ და პარიზს გადაინაცვლეს, ცოტა ხნით ადრე შემომატებულ მოსე იმნაიშვილსა და ნიკოლოზ ნამიჭეიშვილთან ერთად.

გიორგი მგელაძე.

25 ივნისს რამდენიმე ქართველი საფრანგეთში ჩავედით, მაგრამ, საუბედუროდ, ისეთ სამუშაოზე პირადად მე ვერ მოვხვდი, ფულის დაგროვება რომ შემძლებოდა (მხოლოდ საცხოვრებლად მყოფნის). რაკი ფულს ვერ მოვუყარე თავი, გერმანიაში დაბრუნებაც ვერ გავბედე. იქ უკვე დაიწყო სასწავლო სემესტრი. ვმუშაობ პარიზში, პატარა ქარხანაში. ჯერაც ვერ გავარკვიე, შევძლებ გერმანიაში დაბრუნებას თუ სხვა სახელმწიფოში მოვახერხებ მოწყობას — 1924 წლის 1 იანვარს პარიზიდან შინ გამოგზავნილი წერილიდან.

პარიზში, ქარხნის შემდეგ, რკინიგზის სადგურში მუშაობდა მტვირთავად.

დაუახლოვდა ცნობილ მეცნიერს ვიქტორ ნოზაძეს, იმ დროს საქართველოს მთავრობის გაზეთის რედაქტორს. ესწრებოდა ქართველ ემიგრანტთა კოლონიის კრებებს, რომლებშიც თითქმის ყველა ემიგრანტული პარტიისა და ჯგუფის ხელმძღვანელი მონაწილეობდა ხოლმე. განიხილავდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების საკითხს. როგორც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წარმომადგენელი, დადიოდა მენშევიკური პარტიის შეკრებებზე, სადაც ცხარე დისკუსიები იმართებოდა სხვა პარტიებთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალურ დაწესებულებებში (ერთა ლიგა, მეორე ინტერნაციონალი, ინტერნაციონალური კონფერენციები) საქართველოს საკითხის შესახებ.

მტვირთავად თავდაუზოგავმა შრომამ ორიოდ გროში გადაანახვინა, შინიდან გამოგზავნილი ფულიც მიიღო და 1924 წელს გერმანიაში დაბრუნდა.

უკვე ერთი თვეა გერმანიაში ვარ და მეცადინეობას შევუდექი. ამ თვის ბოლოს ჩემი მეგობარი ბიძინა რამიშვილი ბრუნდება საქართველოში. სწავლა პირველი ხარისხით დაამთავრა და ჩვენს უნივერსიტეტში საპროფესოროდ ემზადება. ნიკოლა იმნაიშვილი ახლა ჰაიდელბერგშია, სუსტად არის საწყალი. მოსე გოგიბერიძეც გერმანიაში დაბრუნდა — ჰაიდელბერგიდან 1924 წლის 14 ივლისს გამოგზავნილი წერილიდან.

ამ პერიოდში ჰაიდელბერგში სასწავლებლად ჩავიდა შემდგომში ცნობილი ფილოსოფოსი კოტე ბაქრაძე. მისი რჩევით 1925 წელს გიორგიმ შუამდგომლობა აღძრა ბერლინში სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლობაში სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. მართლაც დაუნიშნეს საქართველოს სახკომსაბჭოს სტიპენდია, მასთან ერთად — იპოლიტე ნარსიას, სოფრომ მიხელიძეს, კონსტანტინე ნიკოლაიშვილს, ირაკლი ურუშაძეს და სხვ.

ამ წლებში ბერლინში მოქმედებდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია, გიორგი მგელაძის, ირაკლი ურუშაძის, იპოლიტე ნარსიას, ირმოკრატე თალაკვაძის, სოფრომ მიხელიძის, ლიდა პაპაქირის, შალვა ჩოჩიას და სხვათა შემადგენლობით. ისინი შედიოდნენ გერმანელ სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა ჰაიდელბერგის ორგანიზაციაში, რომლის თავმჯდომარეც ერთ პერიოდში ბიძინა რამიშვილი იყო.

1927 წლის შემდეგ ჰაიდელბერგში თითქმის მარტოა. ძველი მეგობრებიდან ნიკოლოზ იმნაიშვილიღა შემორჩა (მას 1916 წლიდან იცნობს), რომელიც 1928 წელს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნა ლადო ახმეტელის ნაცვლად.

და აი, როგორც იქნა მიიწურა სწავლის წლები. 1929 წელს სადოქტორო დისერტაცია ჩააბარა.

იმედისმომცემ ახალგაზრდა მეცნიერს სთხოვეს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დარჩენა, ყოველგვარი პირობების შექმნა აღუთქვეს, მაგრამ მომხიბლავი წინადადება არ მიიღო, გულმა სამშობლოსკენ გამოუწია, თუმცა იქიდან ერთობ საგანგაშო ხმები მოდიოდა.

1930 წლის დამდეგი. ნანატრი დაბრუნება. მოტეხილა მუდამ გაუტეხელი მამა, ჰალარა მოსძალებია დედას. დაქალიშვილებულან დები მარიამი, ეკატერინე, თეო, ნინო, ლოლი. ეს ნაბოლარა ორი წლისა დატოვა, ახლა 12 წლის მოსწავლეა.

თბილისის უნივერსიტეტში უკვე მუშაობენ მისი მეგობრები ზურაბ ელიავა, მოსე გოგიბერიძე, ბიძინა რამიშვილი, კოტე ბაქრაძე და სხვები, ერთად რომ იზიარებდნენ უცხოეთში სწავლის სიდუხჭირესა და სიხარულს...

იმავე წლის ოქტომბერში ლექტორად დაიწყო მუშაობა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ფინანსურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში. შემდეგ პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკის აზროვნების ისტორიის კურსებს კითხულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში. მძლავრი ქედით შეება უღელს ღრმად განსწავლული მეცნიერი-ეკონომისტი და ფართოდ ერუდირებული ინტელიგენტი. თან ხორცსასხამს თავის დიდი ხნის ოცნებას — წერს ფუნდამენტურ ნაშრომს ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაზე.

უამრავი მსმენელი ჰყავს მის საჯარო ლექციებს — ცოდნასთან ერთად მჭევრმეტყველებითაც ხიბლავს საზოგადოებრიობას. ახოვანი, ფიზიკურად ძლიერი ვაჟკაცი, გიორგი ნიკოლაძის მაგალითისამებრ, საქართველოში სპორტული და ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობისთვისაც იღვწის — კალათბურთისა და ფრენბურთის გუნდებში თამაშობს... ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება თანდათან საშიში და პირქუში ხდება. პარტიული და კომკავშირული აქტივი „ხალხის მტრებს“ ააშკარავებს. მოხშირდა „კუდიანებზე ნადირობა“. ცნობილია, სადაც ჯაშუშებს ჯილდო ეძლევათ, იქ ბრალიანნი მრავლად არიან. ნაძირალების დრო დადგა, და რაც განსაკუთრებით საშინელია, ყველაფერი მაღალი იდეალების ნიღაბს არის ამოფარებული, ხალხის ნებითა და სახელით კეთდება.

იმართება (ჯერ კიდევ იმართება!) „ხალხის მტრების“ ღია, საჩვენებელი სასამართლო პროცესები და მათს დასრულებამდე განაჩენი გამოაქვს „ხალხს“: გაზეთები აჭრელებულია სათაურებით „ფიზიკურად გავანადგუროთ ხალხის მტრები“, „თავები გავუჭეჭყოთ ნაძირალებს“, „გავსრისოთ ქვეწარმავლები“, „მოვსპოთ“, „ამოვძირკვოთ“.

აი, 1937-იც!

გიორგი სულიერ სიმშვიდეს ჰკარგავს, გრძნობს როგორ იქსელება მის გარშემო რაღაც უხილავი და საშიში. ზოგიერთ „არასაიმედოსთან“ ერთად უკვე (დაპატიმრებამდე 6 თვით ადრე) დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. ერთხანს სახელმწიფო ბანკში მუშაობს უფროს ეკონომისტად. აქაც სწვდება ალმაცერი მზერა. თანდათან, ერთმანეთის მიყოლებით აიყვანეს და უკვალოდ გააქრეს რამდენიმე მეგობარი...

მგონი პითაგორა გვაფრთხილებს, ეცადე მზის ამოსვლას დაესწრო, იმიტომ, რომ არ იცი, დაესწრები თუ არა მის ჩასვლასო. იმ წლებში კი ადამიანები მზის ჩასვლის ხილვას დაეხარბნენ, რადგან ხვალის მზის იმედი არ ჰქონდათ.

საქმე № 13708.

საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს III განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების უფროსი მიკი 1937 წლის 19 დეკემბერს წერს ცნობას, რომ ფაშისტური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრისა და გერმანიის დაზვერვის აგენტის შ. ჩ-იას მიერ მხილებულია სახბანკის თანამშრომელი, უპარტიო, გურამიშვილის ქ. 14 მდებარე საკუთარ სახლში მცხოვრები გიორგი კირილეს ძე მგელაძე, როგორც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და რომ ის დასაპატიმრებელია.

იქ ასეთ რამეზე დახანება არ უყვარდათ: 21 დეკემბერს დაპატიმრების ორდერი გაიცა, 22 დეკემბერს დააპატიმრეს... .

საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს საექიმო კომისიის დასკვნა: **გიორგი მგელაძეს აღენიშნება თირკმელების დაავადება, კუჭის წყლული, სისხლნაკლებობა, წამლებით მკურნალობის გარდა სჭირდება რძის დიეტა. 1938 წლის 8 მარტი.** რეზოლუცია: **ბალასანოვ, უზრუნველჰყავით იგი შესაბამისი კვებით. კორხმაზიანი.**

სერჟანტი ბალასანოვი შინსახკომის სახუშიშროების სამმართველოს III განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულია, უშიშროების სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი კორხმაზიანი — ამ ქვეგანყოფილების ახალი უფროსი (მკითხველმა უკვე იცის, რომ ეს კორხმაზიანი 1956 წელს სსრ კავშირის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა როგორც არაერთი „საქმის“ ფალსიფიკატორი და ჯალათი). ეს ორი უბირი კაცი გახლდათ. გ. მგელაძის ინკვიზიტორი და ფაქტობრივი მკვლელი იმ სისხლიან რეჟიმთან ერთად, რომელმაც ისინი ჯალათებად აქცია, საზოგადოება კი განწირულ მასად, რომელშიც ყველა, უნებლიე გამცემიც კი, პირველ ყოვლისა, მსხვერპლი იყო.

ჩეკისტურ საგამოძიებო საქმეებში ვერ შეხვდებით წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველ მასალებს. მათში მხოლოდ სტრიქონსა და სტრიქონს შუა ისმის დამტვრეული ძვლების ჩახუნი. წამება ოქმებში არ აისახებოდა. ეს საექიმო დასკვნაც იშვიათი გამონაკლისია, უბრალოდ, „დამუშავებული“ პატიმრის კატასტროფული მდგომარეობის გამო ჯალათის ზრუნვაა, როგორმე მან „სამეულის“ სხდომამდე მიაღწიოს. რაც შეეხება „სათანადო კვებით — რძის დიეტით უზრუნველყოფას“, ეს სქელშუბლი ჩეკისტების ჩვეულებრივი ცინიკური, ბოროტი ხუმრობაა.

როგორც ვთქვი, 1937 წლის 22 დეკემბერს დააპატიმრეს, დაკითხვის პირველი ოქმი კი მხოლოდ 1938 წლის 28 მარტით არის დათარიღებული. „აღიარებისთვის“ მთელი სამი თვე „ამზადებდნენ“. ასეთი გამძლეობა იქ უიშვიათესი მოვლენა იყო.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 101-104, 106-108, 110-112, 114-116, 119-120, 123, 128-129.

წიგნი

საეტაპო მნიშვნელობის გამოცემა

დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს პროფესორი ალექსანდრე ფოცხიშვილი ხელდამშვენებული შეხვდა, სულ ცოტა ხნის წინათ მკითხველმა მიიღო ფუნდამენტური მონოგრაფია — „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“, ამ 640-გვერდიანი წიგნით ავტორმა დაასრულა ქართული ენათმეცნიერების ისტორიის ერთი უმთავრესი და ურთულესი მონაკვეთის კვლევა, რასაც თითქმის სამი ათეული წლის შრომა დასჭირდა.



გამოკვლევის ანოტაციაში ნა- ქვამია: „წინამდებარე წიგნი ქა- თული ენათმეცნიერების სრუ- ისტორიის შექმნის პირველი დაა. მასში განხილულია ქარ- ული ენათმეცნიერული (ლექსი- ოგრაფიული, გრამატიკული) აზ- ისტორია უძველესი დრო- ან XIX საუკუნის ორმოცდაა- იან წლებამდე. და დადგენილია მაგისტრალური ხაზი, რომ- ის მიხედვითაც წარიმართა ქა- თული ენის ლექსიკისა და გრა- ატიკის კვლევა“.

და მართლაც, ამ წიგნის მთა- არი ღირსება ისაა, რომ მასში თლად არის გამოკვეთილი გზა, ომელიც გაიარა ქართულმა ენა- მეცნიერებამ ჩასახვის დღიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე, ართალია, მისი ძველი პერიო- ის შესახებ შედარებით მცირე ნობები მოგვეპოვება, სამაგიე- ოდ, არაჩვეულებრივად მდი- არია ახალი პერიოდი, რომლის ათავეებთან დგას ორი ბუმბე- აზი: სულხან-საბა ორბელიანი ა ანტონ I ბაგრატიონი.

საკმარისია თუნდაც უბრალოდ ამოვთვალოთ წიგნის თავები, ომ წარმოდგენა შეგვექმნას გან- ხილული პრობლემების ნიშვნელობაზე: „ენათმეცნიერე- ს გარიჟრაჟზე“, „ქართული ენათმეცნიერული აზრის ჩასახვა — ქართული დამწერლობის შექმნა“; „ენათმეცნიერული კვლევის პირველი პერიოდი“; „ქართული ლექსიკოგრაფიული მუშაობის მეორე პერიოდი“; „სულხან-საბა ორბელიანი — ახალი ქართული ლექსიკოგრაფიის ფუძემდებელი“ და ა. შ.

რადგან წიგნში თვრამეტი თავია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მით უფრო — გამოწვლილვით განხილვა. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ დებულებებზე, რომლებიც წიგნის ავტორის მიერ წამოჭრილი და გადაწყვეტილია, რომლებიც განსაკუთრებით ფასეულია ქართული ენათმეცნიერების ისტორიის სწორი გააზრებისათვის.

ასეთად კი უპირველესად მივაჩნია ანტონ კათალიკოსის (ანტონ I ბაგრატიონის) მოღვაწეობის შეფასება და ობიექტურად ჩვენება იმ დამსახურებისა, რაც მას ქართული ენათმეცნიერების შექმნა-განვითარების საქმეში მიუძღვის. ამის ხაზგასმით აღნიშვნა იმიტომაცაა საჭირო, რომ ანტონის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში, იმდენი და ისეთი ბრალდებები იყო წამოყენებული, რომ მისი სახელის დადებითად ხსენება, თუ აშკარა დანაშაულად არა, პოლიტიკურ შეცდომად მაინც ითვლებოდა. სწორედ ასეთ პირობებში, მოყოლებული 70-იანი წლებიდან, დაიწყო ალ. ფოცხიშვილმა ანტონის საენათმეცნიერო შრომების პოპულარიზაცია.

სარეცენზიო წიგნის ის თავი, რომელიც ანტონს ეძღვნება, სახელდებულია ასე: **„ანტონ ბაგრატიონი — ახალი ქართული ენათმეცნიერული აზრის ფუძემდებელი“**, რაც კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ შეფასებას აძლევს ავტორი ანტონს. ანტონისეული რეაბილიტაციისათვის ბრძოლის დაგვირგვინებად კი უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ბ-ნი ალექსანდრეს (ამჟამად როგორც გ. ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების საზოგადოების პრეზიდენტის) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გადაწყდა ანტონ I-ის დაბადების 275 წლის იუბილის სახელმწიფო ღონისძიების დონეზე აღნიშვნა. ოღონდ, იმის გამო, რომ წლევანდელი წელი (ზუსტი საიუბილეო წელი) გადატვირთულია ადრე დაგეგმილი ღონისძიებებით, იუბილე გადაიტანება 1996 წლის ოქტომბერში.

ალ. ფოცხიშვილი განმარტავს: მართალია, ანტონ I-ის გრამატიკა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის კვლევის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ ამ გრამატიკის გავლენა მე-19 საუკუნის გრამატიკებზე პირდაპირი და სწორხაზოვანი არ ყოფილა. ანტონის შემდეგ ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის გაიოზ რექტორის გრამატიკა, რომლის უშუალო გავლენით იწერება იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ე. წ. „კალმასობისეული“ გრამატიკა. გაიოზის გავლენა ეტყობა იოანე ქართველიშვილის გრამატიკასაც, რომელსაც ალ. ფოცხიშვილი აგრეთვე ახალ ეტაპად მიიჩნევს ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზაზე.

ბარემ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ალ. ფოცხიშვილმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მე-19 საუკუნის ოციან წლებში ორგზის გამოცემული ანონიმური გრამატიკის ავტორი სწორედ იოანე ქართველიშვილია და არა იესე ჩუბინაშვილი, როგორც მანამდე ფიქრობდნენ.

პირველად ალექსანდრე ფოცხიშვილმა ფართოდ განიხილა და ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების გზაზე თავითავიანთი ადგილი მიუჩინა დავით ბაგრატიონის გრამატიკას, იოანე ბაგრატიონის ორ გრამატიკას, სოლომონ დოდაშვილის ერთ, ხოლო პლატონ იოსელიანის ორ გრამატიკას. მხედველობიდან არ გამორჩენია, რა თქმა უნდა, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობაც.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ალექსანდრე ფოცხიშვილის იმ გამოკვლევებსაც, რომლებიც ძირითადად ქართული ენის სტრუქტურის საკითხებს ეხება. ალ. ფოცხიშვილის მიგნებული და ტერმინშერქმეულია მანამდე უცნობი გრამატიკული კატეგორიები ქართულ ზმნაში: უნებლიობისა (შემოექამა, შემოელახა, შემოაკვდა...) და მოჩვენებითობისა (მოიმთვრალა თავი, მოიავადმყოფა თავი, მოიმძინარა თავი...), ალ. ფოცხიშვილს ეკუთვნის მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული ენის მთელი სისტემის წამყვანი, ძირითადი კატეგორიის **I-II პირის ანუ მოლაპარაკე პირების მნიშვნელობის შესახებ**, როგორც სახელის, ისე ზმნისთვის. ამ პრობლემას მიეძღვნა მისი სტატიები: „ორიენტაციის კატეგორიის გაგებისათვის“ და „პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში“.

შეიძლება თქმულიყო ბ-ნი ალექსანდრეს წიგნებზე ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევასთან დაკავშირებით: **„[illegible] — ლეგენდები და სინამდვილე“** (1990 წ.), **„ვეფხისტყაოსნის სადავო საკითხები“** (1991 წ.) და სხვებზე, მაგრამ უმჯობესია, მათი განხილვა ლიტერატორებს მივანდოთ.

ბატონი ალექსანდრესგან კიდევ ბევრ მნიშვნელოვან შრომას მოველით. ვუსურვოთ ჯანმრთელობა და სულის სიმხნევე.

ალექსანდრე ღლონტი.

ახალი ლექსი

ჭაბუა ამირეჯიბს

„გორა მბორგალის" გამო

თავისუფლებას ახლავს ცრემლი,
ვით ღმერთის წყრომა,
სიმართლისათვის ძალისხმევას,
ვინ დაგიმადლის,
„თუთაშხიაზე" არანაკლებს —
ვკითხულობ რომანს,
იგი სავსეა მწუხარების
თეთრი წყვდიადით.
„პურგას" ყმუილით
შენმა წლებმა ჩაიგრიალა,
დგას ორი კითხვა ქვეყანაზე —
მადლის და ცოდვის,
იჩქარე, ჭაბუკ,
გაზაფხულმა დაიგვიანა,
სამაგიეროდ,
ზამთარი მოდის!

ჯანსუღ ჩარკვიანი
1995 წელი, 30 ივლისი.

ლარი

გარეჯელთა ოპტიმიზმი



მხატვარი ვახტანგ კუციაა.

25 სექტემბერს მზად იყო საგარეჯოს რაიონში არსებული ყველა ვალუტის გამცვლელი პუნქტი. თუმცა, ლარის შემოსვლის პირველი დღე ნაკლები აქტიურობით აღინიშნა. ასეთი ინერტულობა გაერთიანებული ქართული ბანკის საგარეჯოს განყოფილების მმართველმა **ოთარ მუჩიაურმა**, ინფორმაციის ნაკლებობით ახსნა — აქ თითქმის მთელი წელიწადია სატელევიზიო ანძის ავარიის შემდეგ არ უჩვენებს საქართველოს ტელევიზია, შეფერხებით მუშაობს რადიო, უმნიშვნელო რაოდენობით ვრცელდება პრესა.

25-27 სექტემბერს — სამი დღის მონაცემებით, საგარეჯოს აგრომრეწვბანკიდან უკვე გაიცა 60.000 ლარი, აქედან — 55.100 ლარი გაიტანა გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა, რომელსაც საგარეჯოს გარდა კიდევ ოთხ სოფელში — ხაშმში, პატარძეულში, კაბეთსა და ბადიაურში აქვს გახსნილი საკუთარი განყოფილებები, დანარჩენ სოფლებში კი ფუნქციონირებს რაიონული კომისიის მიერ სპეციალურად შექმნილი გამცვლელი პუნქტები.

სამ დღეში გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა გაცვალა 15.400 ლარი.

რაიონის გამგებელი ბატონი **თამაზ ქევხიშვილი** ოპტიმისტურად უყურებს მიმოქცევაში ახალი ეროვნული ვალუტის შემოსვლას. ეს არის რეალური შანსი, გაძლიერდეს რაიონის ბიუჯეტი, რაც საშუალებას მოგვცემს, თანდათანობით ვზარდოთ ხელფასები და მოვახდინოთ ანაბრებზე ადრე არსებული თანხების ინდექსაცია, ანუ ობლიგაციებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების მეშვეობით აღვადგინოთ ძველი თანხების პირვანდელი ენერგია, — ამბობს ის.

ქეთევან კუჭუაშვილი.
საგარეჯო.

მოიგეს, მაგრამ...

კალათბურთელ ქალთა ერთ-ერთი პოპულარული ევროპული ტურნირის — ლილიან რონკეტის თასის გათამაშების მეორე ეტაპის პირველი შეხვედრა ქუთაისის „შოთამ" თბილისის სპორტის სასახლეში ანგარიშით 112:100 მოუგო თურქეთის ქალაქ ადანის „ბოტასპორს".

მატჩი მასპინძელთა შტურმით დაიწყო და ომიაძის, ჩეკურიშვილის, კუპრაშვილისა და კუპატაძის ძალისხმევით სხვაობამ პირველივე ტაიმში რამდენჯერმე 20 ქულას მიაღწია. საფიქრებელი იყო, რომ ქუთათურები განავითარებდნენ ტემპს და სოლიდური მარაგით დაასრულებდნენ ორთაბრძოლას, მით უმეტეს, რომ სტუმართა შავკანიანმა ამერიკელმა ცენტრმა ვიჩგერსმა შესვენებამდე 4 ჯარიმის მიღება მოასწრო, მაგრამ პირიქით მოხდა. სწორედ მისი შედეგიანი თამაშითა და ფარქვეშ აქტიურობით თურქეთის კლუბმა პირველი ტაიმი მხოლოდ 12 ქულით დათმო 51:63.

მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. ორჯერ ქართველი კალათბურთელები 21 ქულით გაიჭრნენ წინ და ტრიბუნებზეც ბევრმა შვებით ამოისუნთქა, თუმცა დასკვნით მონაკვეთში ქუთათურებს დაღლა დაეტყოთ და მონაპოვრის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

იქნება თუ არა საკმარისი 12-ქულიანი მარაგი საერთო წარმატებისა და შემდეგ წრეში გასვლისათვის? ძნელი სათქმელია. ყველაფერი 4 ოქტომბერს თურქეთში, საპასუხო მატჩში გაირკვევა.

წარმატება სევასტოპოლში

სევასტოპოლში გამართულ მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე 6 ქართველი სპორტსმენი გაემგზავრა და სამი მათგანი ასპარეზობის პრიზიორი გახდა.

მთავარი პრიზი ფოთელმა კოტა გოგოლაძემ (60 კგ) მოიპოვა, მისი თანამოქალაქე ზაზა ოჩიგავა და ქუთაისელი თენგიზ მესხაძე კი ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

„იმედი" ამართლებს იმედს

ცნობილი ქართველი მხატვის გიორგი ბაქანიძის თასის მეორე გათამაშება მინი-ფეხბურთში სპორტის აკადემიის პირველი კურსის მეოთხე ჯგუფის სტუდენტებმა მოიგეს. ჩემპიონებმა და ფინალისტებმა — სამაჩაბლოელ ლტოლვილთა გუნდმა „ცხინვალმა" სამ-სამ მატჩში გაიმარჯვეს, გადამწყვეტი შეხვედრის ბედი კი პენალტების სერიამ გადაწყვიტა (ძირითადი დრო — 2:2), სადაც უფრო ზუსტნი სტუდენტები აღმოჩნდნენ 4:3. მათ საპატიო პრიზი გ. ბაქანიძის შვილიშვილმა — 12 წლის გიორგი ბაქანიძემ გადასცა. ტურნირში ქალთა გუნდი — „ვაკეც" გამოდიოდა. „სუპერ ხქესის" წარმომადგენლები მოცეკვავეთა კლუბ „მარულასთან" დამარცხდნენ 0:3, მაგრამ მაინც მრავალი აპლოდისმენტი დაიმსახურეს.

ჩოგანი

იქვე გამართული სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და პირველ-მეორე კურსების სტუდენტთა ნაკრები გუნდების საინტერესო ამხანაგური მატჩი (მსაჯი — პროფესორი ავთანდილ ციბაძე) უფროსთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:3.

დაწინაურდა „მარგვეთი"

ფეხბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატს ახალი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — „მარგვეთი". ზესტაფონელებმა განვლილ მერვე ტურში ბოლნისში 3:1 სძლიეს „სიონს" და 21 ქულა მოაგროვეს.

ყოფილმა ლიდერებმა ამ დღეს სტუმრად მარცხიანად ითამაშეს უშუალო კონკურენტებთან და ხელ-ხელა თმობენ წამყვან პოზიციებს: „სამტრედია"-„მეტალურგი" 3:0, „კოლხეთი"-„ტორპედო" 3:2. ტურის კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი თბილისის „დინამოსა" და გორის „დილას" შორის დედაქალაქის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საკმაოდ დუნედ წარიმართა და მასპინძელთა მოკრძალებული გამარჯვებით დასრულდა — 1:0. გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში იაშვილის ზუსტი გადაცემით ქერძევაძემ გაიტანა.

ევროპის სტადიონებზე

ფეხბურთელთა ევროტურნირების მეორე რაუნდი უეფას თასის გათამაშების საპასუხო ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრებით დაიწყო. ეს ეტაპი ფავორიტთაგან უდანაკარგოდ ესპანელებმა და ჰოლანდიელებმა განვლეს. თითო კლუბი „იზარალეს" გერმანიამ („ფრაიბურგი"), იტალიამ („ინტერი"), ინგლისმა („მანჩესტერ იუნაიტედი") და საფრანგეთმა („მონაკო").

გთავაზობთ ზოგიერთი მატჩის შედეგს: „ლივერპული" — „ალანია" 0:0 (პირველი მატჩი 2:1), „მანჩესტერ იუნაიტედი" — „როტორი" 2:2 (0:0), „ლოკომოტივი" — „ბაიერნი" 0:5 (1:0), „ინტერი" — „ლუგანო" 0:1 (1:1), „ჰაპოელი" — „ბარსელონა" 0:5 (0:7), „ზაგლემბიე" — „მილანი" 1:4 (0:4), „ლიდს იუნაიტედი" — „მონაკო" 0:1 (3:0).

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „პანათინაიკოსი" — „ნანტი" 3:1, „პორტო" — „ოლბორგი" 2:0, „სპარტაკი" — „ლეგია" 2:1, „რუსენბორგი" — „ბლეკბერნ როვერსი" 2:1, „ფერენცვაროში" — „აიაქსი" 1:5; „რეალი" — „გრასჰოპერსი" 2:0, „გლაზგო რეინჯერსი" — „ბორუსია" 2:2, „იუვენტუსი" — „სტიაუა" — 3:0.

ამრიგად, თავიანთ ჯგუფებში დაწინაურდნენ „პორტო" — 4, „სპარტაკი" — 6, „აიაქსი" — 6 და „იუვენტუსი" — 6 ქულა თითოეულს.

ანანდი წინ გავიდა

მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის (პროფესიონალთა ასოციაციის ვერსიით) ფინალური მატჩის მეცხრე პარტია ნიუ-იორკში ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა ზედიზედ 8 ყაიმის შემდეგ მოუგო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს გარი კასპაროვს და წინ გავიდა — 5:4.

კრიმინალი

წესრიგს არღვევს წესრიგის დამცველი

1993 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 20 საათზე ქ. ზესტაფონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე ავტომობილს მთვრალ მდგომარეობაში მართავდა ქუთაისის სატრანსპორტო პოლიციის ქვეგანყოფილების გამომძიებელი ოთარ ხარატიშვილი. მან დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება და შეეჯახა ზაზა კაპანაძის კუთვნილ გაჩერებულ ავტომობილს, დააზიანა მანქანა და გაუჩერებლივ განაგრძო მოძრაობა. ზაზა კაპანაძე და მასთან მყოფი ნათესავი ბორის გიორგაძე დაზიანებული ავტომანქანით გაედევნენ ხარატიშვილს, რათა დაედგინათ მისი ვინაობა. იმის ნაცვლად, რომ ო. ხარატიშვილს თავისი დანაშაული მოენანიებინა, ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით ტრანსპორტის პოლიციის შენობასთან სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა კაპანაძეს და გიორგაძეს. ეს უკანასკნელი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო კაპანაძე ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს.

შინაარსით და მოცულობით რთული კატეგორიის საქმეზე მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ლენგერ ბოჭორიშვილის თავმჯდომარეობით საბოლოო განაჩენი დაადგინა: ხარატიშვილს ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, სახელმწიფო ბრალდებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ტრანსპორტის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ იორამ ჩადუნელმა.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

სიტუაცია

საქმის დროულად და ობიექტურად განხილვის მიზნით

საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი მცხეთის იგრეთ წოდებული ტატიშვილების საქმე.

აღნიშნული საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ მცხეთის რაიონის სასამართლომ 1995 წლის 23 იანვრის განაჩენით ზვიად, ზორბეგ და ალექსანდრე ტატიშვილები დამნაშავეებად ცნო 238-ე მუხლის მხოლოდ პირველი და მეორე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შეძენა, ტარება, შენახვა — გარდა ავტომატური იარაღისა), ხოლო ამავე საქმეში გამავალი თამაზ ქაჯაია — გაამართლა.

იმის გამო, რომ აღნიშნულ პირთა დანაშაული სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა 238-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან (ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება, შენახვა, შეძენა...) იმავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე და მსჯავრდადებულებს აშკარად ლმობიერი განაჩენები შეუფარდა, მცხეთის რაიონის პროკურორმა უზენაეს სასამართლოს მიმართა საკასაციო პროტესტით, რომელიც დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად აცილების წესით დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 8 აგვისტოს განაჩენით ზვიად, ზორბეგ და ალექსანდრე ტატიშვილებს კვლავ მოეხსნათ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ცნობილი იქნენ დამნაშავედ ამავე მუხლის მხოლოდ პირველი და მეორე ნაწილებით და სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდნენ ამა წლის 2 ივნისის ამნისტიის საფუძველზე, ხოლო თამაზ ქაჯაია, რომელსაც ბრალად ედებოდა 238-ე მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული, — გაამართლეს.

თბილისის პროკურატურის საკასაციო პროტესტის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიამ კვლავ გააუქმა განაჩენი დაუსაბუთებლობისა და ქმედების არასწორად გადაკვალიფიცირების გამო და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა სასამართლოს.

სასამართლო ორგანოების მცდარმა მიდგომამ ორჯერ გამოიწვია უკანონო განაჩენის გაუქმება, რამაც ერთი წლით გააჭიანურა საქმის გამო კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

რესპუბლიკის პროკურატურამ საქმის დროულად განხილვის და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით ითხოვა, რომ ტატიშვილების საქმე განსახილველად დაიქვემდებაროს უზენაესმა სასამართლომ.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

ნადირი—კი, ადამიანი—არა!

დაბადებიდან — ბავშვთა ბაღში, ოჯახში, სკოლაში — გვასწავლიდნენ, რომ ადამიანი სიკეთის საკეთებლად არის გაჩენილი. მე დღესაც მჯერა ამ მცნების ჭეშმარიტების, და უკვე ვერავინ ვეღარ შემაცვლევინებს მრწამსს, თუმცა ვხედავ, როგორ უჭირს დღეს სიკეთეს...

სისხლიანი ფულით — ქორწინების ოთხი წლისთავი

ნადირი თავისნაირებში თავს უშიშრად გრძნობს. ადამიანი, სამწუხაროდ, არა.

ბიძინა გოგლიძეს საკუთარი გაჭირვებაც ჰყოფნიდა, ყრუ-მუნჯი იყო. ასეთ ადამიანს კაცი უნდა ეფერებოდეს, უფრთხილდებოდეს, გაჭირვებას უმსუბუქებდეს. ამ დროს, ყველაფერი პირიქით მოხდა.

ერთი ხანჯლის, სანადირო თოფისა და ათგრამიანი ოქროს ბეჭდის გულისთვის სადისტმა პაატა ხარებაშვილმა მჭრელი დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა 66 წლის კაცს. რა ნახა, რომ ასე ვერ მოკლა, ქათამივით ყელი გამოჭრა. შემდეგ ბეჭედი გაყიდა და იმ სისხლიანი ფულით, რომელიღაც რესტორანში, ქორწინების ოთხი წლისთავი იზეიმა.

ისინი, ხუდადოვზე, მეზობლად ცხოვრობდნენ.

„დაზარალებულს პოლიციაში არ განუცხადებია"

თბილისის პროკურატურის პრაქტიკანტი ვარო, წინასწარი დაკითხვის დროს განაცხადა 20 წლის ზაზა აბაზაძემ. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მსგავსი მდგომარეობა ყაჩაღს ვერ აცილებს პასუხისმგებლობას. მან, ლევან ალავერდაშვილთან და სხვა, ჯერჯერობით, მიმალულ პირებთან ერთად, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მოქალაქე ბონდო ავქოფაშვილის ოჯახი გაძარცვა. 3 ათასი დოლარი, 5 მილიონი რუბლი, 10 მილიონი რუბლის სერთიფიკატები ხაზვით შერჩებოდათ (დაზარალებულს პოლიციის ორგანოებში არ განუცხადებია), შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლებს რომ არ ევაჟკაცათ და დროულად არ გაეხსნათ ეს საშიში დანაშაული.

ჯერ 50 ათასი დოლარი მოთხოვეს, შემდეგ კი 200 დოლარსა და ოქროს სამკაულებს დაყაბულდნენ ქუთაისელი პოლიციელი დავით ჭელიძე და ბაღდათელი, ვარციხის მკვიდრი, ორჯერ ნასამართლევი დავით ჯანელიძე.

ეს ორი ვაჟკაცი (და კიდევ მესამე, ამჟამად, მიმალული შავგული ბროლაძე) იოლად გამდიდრების წყურვილმა აქცია ადამიანის გამტაცებლებად. შესაფერის დროს, ღამის 11 საათზე, წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში, საკუთარი სახლიდან, იარაღის მუქარით მოიტაცეს „ვარციხჰესის" დირექტორი გოდერძი კუპრავა და მისი მეუღლე ნინო ჩხაიძე. გეგუთი-ქუთაისის გზაზე, ზემოხსენებული გარიგების ფასად, ყაჩაღებმა გაათავისუფლეს ტყვეები.

ხშირად გაიგონებთ: „დაზარალებულს შინაგან საქმეთა ორგანოებში არ განუცხადებიაო". არადა, უპრიანია, განაცხადონ, დღეს პოლიცია იმსახურებს ნდობას.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს მალხაზ ამაშუკელს შარშან, ნოემბერში ავტომანქანა „ტოიოტა-კოროლა" წაართვეს. მასაც არ განუცხადებია პოლიციაში, ეტყობა, არალეგალური გზებით ეძებდა, მაგრამ ვერ მიაგნო. მიაგნეს საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა. საქმე ის არის, რომ ამ დროის განმავლობაში, მანქანა უკვე მესამე თუ მეოთხე კაცის ხელში გადავიდა. ამჟამინდელმა პატრონმა, რომელიც ავტომანქანას გენერალური მინდობილობით მართავდა, თქვა, იმისგან ვიყიდეო, იმან — იმისგანო... ასე შეიკრა წრე, რომელმაც პოლიციელები ყაჩაღზე გაიყვანა. ეჭვმიტანილი, ჯერჯერობით, ემალება მართლმსაჯულებას.

მოპარულ, მოტაცებულ ავტომანქანებს, ჩვეულებრივად, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყიდიან.

საკითხავია, როგორ მოახერხეს ასეთი საშიში საქონლის, თანაც დეფიციტური „ტოიოტა-კოროლას", თბილისში „გასუხარება"?!

ვინ დაეხმარათ?!

დამწვრის სუნი რომ იგრძნეს

თუ მთელმა ერმა არ მოინდომა, ქვეყანა, მართლაც, ვერასდროს ვერ დაძლევს იმ ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებს, რომელშიც ამჟამად იმყოფება.

ეროვნული ვალუტის — ლარის მიმოქცევაში შემოსვლასთან დაკავშირებით გამოცხადებულმა ეკონომიკურმა და ადმინისტრაციულმა შეზღუდვებმა ბევრი ააფორიაქა, მათ შორის, ყალბი ფულის გამსაღებლები.

დამწვრის სუნი რომ იგრძნეს, ვირთხები გამოძვრნენ სოროებიდან, რამაც გააიოლა ხაფანგის დაგება.

დიდუბის ბაზარში, ყვარლელები მამუკა ჯამალაშვილი და ვაჟა ჩოხადარი ყალბ 50-ათასიან რუბლის კუპიურებს ასაღებდნენ. დაკავებისას, მათ 125 ასეთი კუპიურა ჰქონდათ. ამის გარდა, 325 ყალბი 50-ათასიანი ვარკეთილში გივი კახურაშვილისათვის მიებარებინათ. წინასწარი მოკვლევით გაირკვა, რომ ყალბი ფული სამშობლოში გასასაღებლად ამჟამად მოსკოვში მცხოვრებმა ინჟინერმა კარლო გოჩიტაშვილმა ჩამოიტანა.

ყალბი ფულის რაოდენობა სულ 22.500.000 რუსული რუბლი აღმოჩნდა...

ახლა თელავში გადავინაცვლოთ, სადაც სოფელ ხოდაშენში, ზაქარია ბორჩაძის ბინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა ყალბი ხუთ და ოცდოლარიანი კუპიურები (სულ 6455 დოლარი) ამოიღეს. როგორც გაირკვა, ყალბი ვალუტა ბორჩაძეს კახეთის მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილემ მალხაზ ქარსელაძემ გადაამალინა.

როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, 22 სექტემბერს 19 საათზე, აეროპორტის ტერიტორიაზე, ავიაკომპანია „ალკას" თვითმფრინავიდან 173.270.000 რუბლი ამოიღეს. ეს თანხა თვითმფრინავში ავიაკომპანიის ბორტინჟინერმა მოსკოველმა ალექსი კუდეიაროვმა შეიტანა. ფული მას თბილისელმა თემურ სულაძემ გადასცა.

საბაჟო და აეროპორტის საკონტროლო-გამშვები სამსახურების გვერდის ავლით ჩადენილი ასეთი, თითქოს უბოროტო დანაშაული კონტრაბანდად იწოდება.

ფულად-საფინანსო რეფორმის წინ, სულაძე-კუდეიაროვის გარიგების მიზანს დამწყები, გამოუცდელი მცველიც იოლად მიხვდება.

ზაურ მაკარაძე.

არდავიწყება

ჩვენი ქართველი ბერძენი

ამ ცოტა ხნის წინ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის № 8 სახლს გაუკეთდა მემორიალური დაფა პავლე ვასილის ძე ასლანიდის — იმ კაცის დამსახურების აღსანიშნავად, ვისი სახელიც განუყრელად უკავშირდება უკანასკნელი ათწლეულების ქართული პრესის ისტორიას.

განგებამ ასე ინება, რომ საბედისწერო წამი, რომელმაც შეწყვიტა ცხოვრება საგაზეთო საქმის დიდი მესაიდუმლის, შემოქმედისა და მოქალაქისა, დადგა მშობლიური რედაქციის კედლებში, მისი დაბადებიდან 75-ე წლისთავის მილოცვებს კოლეგებს შორის. მეგობრული გრძნობის მოზღვავებამ, როგორც ჩანს, იმდენად ააფორიაქა იუბილარი, რომ აქვე განუტევა სული.

...თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე ეზიდებოდა ბატონი პავლე „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორის მძიმე ჯვარს, რითაც რედაქტორობის აქამდე ცნობილი დღეგრძელობის ყველა რეკორდი მოხსნა. ამის მიუხედავად, 75 წლის ასაკში ისეთივე მხნე, მხიარული და სიცოცხლისმოყვარე, ადამიანების მიმართ ყურადღებიანი გახლდათ, როგორც თავისი შინაარსიანი და მღელვარე ცხოვრების დასაწყისში...

თბილისის მე-2 რკინიგზის სკოლის მოსწავლე პავლე ასლანიდი ბავშვთა ტექნიკური სადგურის მოუსვენარი და მეოცნებე წევრია. სწორედ მათ წრეში ჩაისახა საბავშვო რკინიგზის აგების იდეა. ბავშვების წამოწყებას გაგებით მოეკიდნენ უფროსები: თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის პედაგოგ-მასწავლებლებმა, მათ შორის მომავალმა აკადემიკოსმა კირიაკ ზავრიევმა, ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით რამდენიმე სტუდენტი მოიზიდა, შეადგინეს საჭირო ნახაზები, მომავალი საბავშვო რკინიგზის მაკეტი, შეირჩა მშენებლობის ადგილი — მუშტაიდი. ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან მოვიდა თანხმობა და პროგრამაში ჩაერთნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სპეციალისტებიც.

როგორც იტყვიან, საქმე „გახურდა" — მშენებლობაზე ყოველდღიურად მუშაობდა თბილისის სკოლების ორი ათასზე მეტი მოსწავლე. მუშტაიდში შემოიტანეს სახელოსნოებში აღდგენილი ორთქლმავალი და ვაგონები, დაიგო ლიანდაგი. და აი, მსოფლიოში პირველი ბავშვთა რკინიგზა თბილისის რეალობა გახდა. ეს მოხდა 1935 წლის 23 ივლისს. სწორედ იმ დღეს შეუსრულდა პავლე ასლანიდს 18 წელი. დადგა საკითხი გზის უფროსის დანიშვნისა. რამდენიმე კანდიდატიდან უპირატესობა ერთხმად მიანიჭეს სწორედ პავლე ასლანიდს. მეორე დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" დაიბეჭდა ნორჩი მშენებლების ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი იყვნენ: შალვა ყარყარაშვილი, პავლე ბორისოვი, ნატაშა ტერ-ოჰანესოვა, ტაისა დიმიტრიევა, კირილე პაპიტაშვილი, პავლე ასლანიდი, ვიქტორ სოკოლსკი, ვასილი ჩერნიშოვი, იური პოლიაკოვი...

1937 წელს 20 წლის ჭაბუკი დაინიშნა ესპანელ ბავშვთა საზაფხულო ბანაკის უფროსად ქობულეთში, მუშაობს არტეკში, შემდეგ კი მათ შორის არის, ვინც შექმნა თბილისის მოსწავლეთა სასახლე.

ყველა ამ თვისებამ — შრომისმოყვარეობამ, ინიციატივამ, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის უნარმა ბევრად განაპირობა ჟურნალისტიკაში პავლე ასლანიდის ენერგიული საქმიანობა. 1939 წელს პ. ასლანიდი ხდება გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" კორესპონდენტი, რამდენიმე წლის შემდეგ — გაზეთ „გუდოკის" საკუთარი კორესპონდენტი. აქ იგი ათი წელი წარმატებით მუშაობდა.

1958 წლის 20 მაისს თბილისელებმა მიიღეს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პირველი ნომერი, და ეს დღე სამახსოვროა არამარტო მისი რედაქტორის — პავლე ასლანიდისათვის, არამედ იმ წლების მეგობრული ჟურნალისტური კოლექტივის წევრებისათვისაც.

— მაშინ, — მიყვებოდა პავლე ასლანიდი, — რედაქციაში მუშაობდნენ ზურაბ აზლუდიანი, სიმონ სვერდლინი, ილია ბრინერი, ანატოლი კიკნაძე, სოფიო გველესიანი, ემილ მინასიანი, ირა სპიცინა, ალა სტრატიევა, კონსტანტინე ენგოიანი, არონ რაბინოვიჩი, ნინა მახარაძე, ოლღა ჩერქეზიშვილი, ნელი მიკირტუმოვა, დოდო კანდელაკი, გრიშა ლევინი...

ის იყო საერთო იდეით შეკრული კოლექტივი ადამიანებისა, რომლებსაც გულმხურვალედ უყვარდათ თავიანთი ქალაქი და სამი ათეული წლის მანძილზე უდიდესი წვლილი შეჰქონდათ თბილისის აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში.

...რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი პავლე ასლანიდი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ სარბიელზეც — იყო საქართველოს ბერძნული თემის საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის, მრავალი საქალაქო კომისიისა თუ კომიტეტის წევრი...

სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი, ოპტიმისტი პავლე ასლანიდი არასდროს, იმ მძიმე 1992 წელსაც არ ჰკარგავდა იმედს, რომ თბილისი და თბილისელები, მტკივნეული დარტყმების მიუხედავად, გადალახავდნენ გაჭირვებასა და ვარამს.

სამწუხაროა, რომ მისმა დიდმა, სათუთმა გულმა ვერ გაუძლო ყოველივეს და დაგვტოვა, ისევე როგორც ბევრმა ძველმა თბილისელმა, ნაღდმა ქალაქელმა, რომლებიც გულმხურვალედ იყვნენ შეყვარებულნი დედაქალაქზე. მათ შორის გახლავთ პავლე ასლანიდი — ჟურნალისტი, მოქალაქე, პატრიოტი თავისი სათაყვანებელი საქართველოსი.

ლევან დოლიძე.

* * *

სურათზე: აი, ასეთი გვახსოვს პავლე ასლანიდი მის კოლეგებს.

ამინდი

29 სექტემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 10-15, დღისით 22-27, მთაში — ღამით 8-13, დღისით 20-25, მაღალ მთაში — ღამით 3-8, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება უნალექო ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 7-12, დღისით 18-23, მთაში — ღამით 4-9, დღისით 13-18, მაღალ მთაში — ღამით 2-7, დღისით — 8-13 გრადუსი სითბო.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში — ღამით 3-8, დღისით 13-18, მაღალ მთაში — ღამით 1-6, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

კავკასიონისა და თრიალეთის ზეგნის საძოვრებზე — ღამით 1-6, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 10-12, დღისით 20-22 გრადუსი სითბო.

და მარინა აბვლედიანი, დისწული ზაზა აბაშიძე ოჯახით, ბიცოლა ვერა ჯავახიშვილი, ბიძაშვილები გოგი, საშა ჯავახიშვილები, დიმა აბვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე (ლელი) ალექსანდრეს ასული აბვლედიანი

პანაშვიდი 28, 29 IX, 16 სთ., დაკრძალვა 30 IX, 14 სთ., მიხეილ წინამძღვრიშვილის (ყოფ. კ. ცეტკინის) ქ. 98.

თბილისის ბავშვთა მე-4 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განყოფილების ექიმი

დათო ჩხაიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

გივი ფანჩულიძე



66 წლისა ქართველ განათლების მუშაკთა ოჯახს გამოაკლდა ღირსეული შემოქმედი. უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადების ინსტიტუტის პრორექტორი, დოცენტი **გივი ვარლამის ძე ფანჩულიძე**, რომლისთვისაც მშობლიური სკოლის უანგარო სამსახური ცხოვრების უპირველეს მიზანს წარმოადგენდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1958 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი გაიგზავნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის კურსებზე, სადაც ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები და დაბრუნებისთანავე დაიცვა დისერტაცია. აქედან მოყოლებული, 40 წლის მანძილზე, გივი ფანჩულიძე რიგით და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწეობას ეწეოდა უმაღლესი სკოლის დაწესებულებებში, პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში, 1959 წლიდან იგი წარმატებით მუშაობდა რესპუბლიკის ადგილობრივ და უმაღლეს ორგანოებში პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. გივი ფანჩულიძის თანდაყოლილმა ნიჭმა, ღრმა განათლებამ და მისთვის დამახასიათებელმა უნარმა განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსად და ბოლოს, ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადების ინსტიტუტის პრორექტორად მუშაობის პერიოდში, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვა, როგორც განათლების სისტემის ნოვატორსა და მშენებელს.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ დაკარგა ღირსეული მოღვაწე გივი ფანჩულიძის უდროოდ წასვლით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

მეგობრების ჯგუფი.

გახსენება

ზურა ჩაჩუა

წახვედი ჩვენო ზურიკელა... ნაადრევად აითვალწუნე სიცოცხლე და მართლა ჩიტივით გაგვიფრინდი. ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსისა არ იყოს, „შენს წასვლას უნდა ერქვას გაქცევა, შენს წასვლას უნდა ერქვას ღალატი..."

დიახ, შენი მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობარ-ძმაკაცთათვის, ღალატი იყო, ასე მოულოდნელად შენი წასვლა. უდიდესია ჩვენი ტანჯვა და მწუხარება, მართლაც უღმერთოა შენი სიკვდილი. 18 წლისა გახდებოდი ამ წლის 1 ოქტომბერს და ცეცხლად იქცა ყველა და ყველაფერი შენი ავი ბედისწერის გამო. იქნებ სიკვდილს ჰგონია, მოგკლა, ჩვენო ზურიკელა, მაგრამ თავად დამარცხდა შენს სიცოცხლესთან...

მაინც გაცოცხლებთ! — მაინც მოგილოცავთ, ყოველთვის მოგილოცავთ შენს დაბადების დღეს, ჩვენო ჩამქრალო იმედო, ტკბილო და ერთგულო, ნიჭიერო და გულისხმიერო ქართველო ვაჟკაცო! ზეციური მადლი ჰფარავდეს შენს სულს წმიდა სასუფეველში აწ და მარადის.

მეგობრები.

მორიგე რედაქტორი ლერი კიკნაძ

გამომცემელი - შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60484, ტელ.: 99-78-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილ